დიპლომატი
სასწავლო პროექტი/ სპეც.გამოშვება 15 ივლისი,2017
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების ჯგუფი
www.sangu.edu.ge

ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო წელი დაიწყო

პირველკურსელებთან შესახვედრად 2013 წლის 14 სექტემბერს, უნივერსიტეტის ეზოში შეიკრიბა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. შეხვედრა გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ. პირველკურსელებთან ერთად შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტში მობილობის წესით გადმოსული ბაკალავრებიც.

ამ დღეს უნივერსიტეტში მობრძანდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე და დალოცა ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები.

ახალი საბაკალავრო პროგრამა ქართულ უნივერსიტეტში!

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტზე 2013/2014 სასწავლო წლიდან ფუნქციონირება დაიწყო ახალმა საბაკალავრო პროგრამამ **"საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები"**. პროგრამა შედგენილია უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით და ითვალისწინებს ორი უცხო ენის გაძლიერებულ სწავლებას პირველიდან მეოთხე კურსის ჩათვლით (ინგლისური, ჩინური, გერმანული, ესპანური, ფრანგული, რუსული). ახალი სასწავლო წლიდან პროგრამას დაემატება კიდევ 4 უცხო ენა(იაპონური, თურქული, არაბული და იტალიური ენები). აღსანიშნავია, რომ ყველა ჩამოთვლილი ენები პრიორიტეტულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის დასაწყებად.პროგრამის ხელმძღვანელია პროფესორი ავთანდილ კიკნაძე.

"დიპლომატიური კლუბის"პრეზენტაცია

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში 4 ოქტომბერს გაიმართა „დიპლომატიური კლუბის" პრეზენტაცია.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში 4 ოქტომბერს გაიმართა ,,დიპლომატიური კლუბის“ პრეზენტაცია. კლუბის დაფუძნების ინიციატივა ეკუთვნით საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამის პირველკურსელებს.

,,დიპლომატიური კლუბის“ პრეზიდენტად სტუდენტებმა აირჩიეს ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე.

სამეცნიერო ხელმძღვანელად-პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ავთანდილ კიკნაძე.

კლუბის კოორდინატორებად-პირველი კურსის სტუდენტები ნინო ანდიაშვილი და ელენე ლომიძე.

დამტკიცებული იქნა კლუბის ემბლემა და წესდება.

განხილული იქნა კლუბის მუშაობის სამუშაო გეგმა და მომავალი ამოცანები. ,,დიპლომატიური კლუბის“ წევრებმა პრეზენტაციის დამთავრების შემდეგ ჩაატარეს პირველი ღონისძიება,რომელიც მიუძღვნეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის

ეროვნულ დღესასწაულს.

პირველკურსელებმა-თათია ხუნტუამ ,ელენე ლომიძემ, ალექსი სამადაშვილმა, ანა არეშიძემ, სანდრო გეგუჩაძემ,სალომე ესიავამ, შოთა ქარსელაძემ, ნინო წიწიკაშვილმადა სალომე ზებედაშვილმა წარმოადგინეს საინტერესო ვიდეო და ტექსტური მასალები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ისტორიის, კულტურის, ტრადიციების, პოლიტიკის ,ეკონომიკის, დიპლომატიის, ღირსშესანიშნაობების შესახებ.ღონისძიებამ საინტერესოდ და შინაარსიანად ჩაიარა და მოწონება დაიმსახურა ,,დიპლომატიური კლუბის“ წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას შორის. კლუბის პრეზენტაციასა და ღონისძიებაში მონაწილეობდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი ვახტანგ გურული.

ექსკურსია კახეთში

2013 წლის 13 ოქტომბერს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) საერთაშორისო ურთიერთობის პირველი კურსის სტუდენტები ექსკურსიაზე იყვნენ კახეთში. პირველად სტუდენტებმა დაათვალიერეს უჯარმის ციხე, შემდეგ გაემგზავრნენ ახალი შუამთის სამონასტრო კომპლექსის დასათვალიერებლად. ახალი

შუამთის შემდეგ სტუდენტებმა მოინახულეს იყალთო. ექსკურსია დასრულდა გრემის სამონასტრო კომპლექსის დათვალირებით. სტუდენტებმა მოილოცეს უჯარმის,ახალი შუამთის, იყალთოს და გრემის ეკლესიები.ესაუბრნენ მონაზვნებსა და მღვდელმსახურებს. საინტერესო საუბარი გაიმართა იყალთოს აკადემიის ტერიტორიაზე. პროფესორებმა ვახტანგ გურულმა და ავთანდილ კიკნაძემ საინტერესოდ ისაუბრეს იმ საგანმანათლებლო სისტემაზე, რომელიც საქართველოში ჩამოყალიბდაXI საუკუნიდან და რომლის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენდა გელათისა და იყალთოს აკადემიები. საუბრის პროცესში სტუდენტებმა დასვეს მრავალი საინტერესო შეკითხვა, როგორც კონკრეტულად იყალთოს აკადემიის, ისე იმ პერიოდის ქართული მეცნიერებისა და განათლების თაობაზე.

პროფესორ ვაჟა ლორთქიფანიძის ლექცია რეგიონმცოდნეობის ბაკალავრებისათვის

2013 წლის 8 ნოემბერს ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) საერთაშორისო ურთიერთობების (რეგიონმცოდნეობის) ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტებისათვის ლექცია წაიკითხა **პროფესორმა ვაჟა ლორთქიფანიძემ**.

პროფესორ ნოდარ ნათაძის საჯარო ლექცია ქართულ უნივერსიტეტში

2013 წლის 19 დეკემბერს, ხუთშაბათს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობა და რეგიონალური პროცესების მიმართულების პირველი კურსის სტუდენტებისათვის საჯარო ლექცია წაიკითხა პროფესორმა ნოდარ ნათაძემ თემაზე: **„საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა“**.

პროფესორ ნოდარ ნათაძის საჯარო ლექცია

2014 წლის **10** მარტს საქართველოს საპატრიარქოს წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში პროფ. ნოდარ ნათაძემ **1956** წლის **9** მარტის სისხლიან მოვლენებთან დაკავშირებით წაიკითხა საჯარო ლექცია საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტებთან.

აღსანიშნავია, რომ ბ-ნი ნოდარი თავად იყო ამ საშინელი ტრაგედიის მონაწილე და შეძლო გაეცოცხლებინა და დეტალურად წარმოედგინა სტუდენტებისთვის დღემდე უცნობი დეტალები; ასევე შეეხო სტალინის პოლიტიკურ,ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ პორტრეტს და აქვე დააფიქსირა თავისი პოზიცია მის მიმართ.

შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა, სტუდენტებმა ღვაწლმოსილ პროფესორს დაუსვეს მრავალი შეკითხვა, რომლებზეც ამომწურავი პასუხები მიიღეს.

ელექტრონული სასწავლო ჟურნალი "დიპლომატი"



ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტებისა და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით. მოეწყო ელექტრონული სასწავლო ჟურნალის "დიპლომატის" სპეციალური ნომრის პრეზენტაცია, რომელიც მთლიანად მიეძღვნა საბერძნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღეს.

სპეცგამოშვება მოამზადეს საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დიპლომატიური კლუბის წევრებმა:

ელენე ლომიძემ,თათია ხუნტუამ,ანი კვირკველიამ,ნათია სადღობელაშვილმა ,სანდრო ბარკალაიამ,ლევან ლაგვილავამ.
იდეის და პროექტის ავტორი: პროფესორი ავთანდილ კიკნაძე
დიზაინი და ფოტო მასალა: დიმიტრი გვიანიშვილი

შეხვედრა საბერძნეთის ელჩთან

24 მარტს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში საბერძნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება ელეფთერიოს პროიოსი. ღონისძიება ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებისა და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით გაიმართა, ეს იყო კლუბის პირველი ღონისძიება. ბატონ ელჩს სტუდენტები დახვდნენ მაისურებით, რომლებზეც ეწერა ,,მე მიყვარს საბერძნეთი".

საპატიო სტუმარს მიესალმა ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე. მან ისაუბრა ბატონი ელჩის პიროვნულ გამორჩეულობასა და დიპლომატიურ კარიერაზე. გაიხსენა ჩვენი, ორი ერისა და ორი სახელმწიფოს წარსული ურთიერთობების ტრადიცია. მართალია, გარკვეულ პერიოდში ეს ტრადიცია გაწყდა, რაც დიდი უსამართლობა იყო, მაგრამ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იგი კვლავ აღდგა. ბატონმა რექტორმა ისაუბრა დღევანდელი საბერძნეთის რესპუბლიკის წარმატებებზე და აღნიშნა, რომ დღეს იგი თავისი თავის ბატონ-პატრონია, გამორჩეული და ძლიერია სახელმწიფოებრივად, რაც იმედს უსახავს ევროპულ სტრუქტურებზე ორიენტირებულ, დამოუკიდებლობის გზით მიმავალ ჩვენს ქვეყანას. გამორჩეულია საბერძნეთი, როგორც მართლმადიდებელი ქვეყანა, აღნიშნა ბატონმა

რექტორმა, ვინაიდან დღეს მსოფლიოს ექვსი გამორჩეული მართლმადიდებლური საპატრიარქო: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, ელადისა და კვიპროსის ბერძნული საპატრიარქოებია. ჩვენი ეკლესია ყოველთვის ევქარისტულ კავშირში იყო მათთან. მან გამოთქვა რწმენა, რომ ბერძნული ეკლესიების მხარდაჭერით საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ გადაწყდება ის საკითხები, რომლებიც ახალი მსოფლიო საეკლესიო კრების წინაშე დგას და რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეკლესიისათვის. სიტყვის დასასრულს პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მადლობა გადაუხადა პროფესორ ავთანდილ კიკნაძეს, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩატარდა ეს შესანიშნავი ღონისძიება.

ბატონმა ელჩმა მითოლოგიური პერიოდიდან, კონკრეტულად კი იაზონისა და მედეას მითიდან დღემდე ჩვენი ხალხების მჭიდრო ურთიერთობის შესახებ ისაუბრა, გაიხსენა უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები, როდესაც საბერძნეთი ერთ-ერთი პირველი იყო იმ ქვეყანათა შორის, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარეს. 1995 წლიდან კი, რაც საქართველოში გაიხსნა საბერძნეთის საელჩო, იგი ყოველთვის ცდილობდა დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბებაში დახმარებოდა საქართველოს, რათა იგი განთავისუფლებულიყო იმ მემკვიდრეობისაგან, რომელიც სხვა ქვეყნის უღელქვეშ ყოფნამ დაუტოვა. ბატონმა ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბერძნეთმა იცის დამოუკიდებლობის ფასი და სწორედ ამიტომ კარგად აქვს გათავისებული საქართველოს მისწრაფება გახდეს რეალურად დამოუკიდებელი ქვეყანა და გაერთიანდეს ევროპული ქვეყნების ოჯახში.

ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან საქართველომ კეთილმეზობლურად მიიღო ბერძნული დიასპორა, საქართველო ყოველთვის გულღია იყო უმცირესობათა მიმართ, ამიტომ გამრავლდა აქ ბერძნული დიასპორა. ახლა ქართველები არიან წასული საბერძნეთში, 20 ათასი ოჯახია და იქ იქმნება შერეული ოჯახები, რაც იმას ნიშნავს, ერთმანეთს უგებს ჩვენი ხალხი. შერეული ოჯახები ერებს შორის გადებული ხიდებია.

უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებმა და დიპლომატიური კლუბის წევრებმა ღონისძიების მონაწილეებს განსახილველად წარუდგინეს მათ მიერ შედგენილი შვიდენოვანი ელექტრონული ჟურნალი ,,დიპლომატი". რომელშიც ვეცნობით ბერძნულ მითოლოგიას, კულტურას, რელიგიას, ისტორიას, დიპლომატიას და ცნობილ ადამიანებს.
საღამოს დასასრულს გაიმართა ვიდეოკოლაჟის ჩვენება, დაათვალიერეს ფოტოგამოფენა. ეს შესანიშნავი ღონისძიება დაასრულა ბერძნულმა ცეკვებმა.

საპატიო სტუმარს ამ დღის სახსოვრად რექტორმა გადასცა ორი წიგნი: ხელნაწერების ალბომი და მისი უწმინდესობის აღსაყდრებისადმი მიძღვნილი კრებული "ილია II".

საქართველოს სამოციქულოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის

დიპლომატი
საბერძნეთი
Greece

ლექცია თემაზე - „საერთაშორისო სამართლის შესავალი“

2014 წლის 7 მაისს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტი) საერთაშორისო ურთიერთობის და რეგიონმცოდნეობის მიმართულების სტუდენტებისათვის ვარშავის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დოქტორანტმა ნინო დემეტრაძემ წაიკითხა ლექცია - „საერთაშორისო სამართლის შესავალი“.
ლექციის შემდეგ სტუდენტებსა და მოწვეულ სტუმარს შორის გაიმართა საინტერესო დისკუსია. შეთანხმდნენ, რომ მეორე ლექციას ქალბატონი ნინო წაიკითხავს 21 მაისს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ქართულ უნივერსიტეტში.

26 სექტემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების **65** წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება იუე ბინი. ღონისძიება ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებისა და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით გაიმართა.

საპატიო სტუმარს მიესალმა ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე. მან მოკლედ ისაუბრა ბატონი ელჩის დიპლომატიურ კარიერაზე. გაიხსენა ორი სახელმწიფოს წარსული ურთიერთობების ტრადიცია. ბატონმა რექტორმა ისაუბრა დღევანდელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმატებებზე და საქართველოსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელობის შესახებ. რექტორმა სტუმარს მოუთხრო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა კურთხევით და უშუალო ინიციატივით დაარსებული ქართული უნივერსიტეტის განვითარებისა და პერსპექტივების შესახებ. რექტორმა აღნიშნა, რომ ახალი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტებმა დაიწყეს ჩინური ენის შესწავლა, დააარსეს ჩინური კლუბი და შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას დაამატეს ახალი, ჩინეთის მიმართულება.

სიტყვის დასასრულს პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მადლობა გადაუხადა ბატონ ელჩს ქართულ უნივერსიტეტში სტუმრობისათვის და სტუმარი მოიწვია საჯარო ლექციის წასაკითხად მისთვის სასურველ დროს, რაზეც სტუმრის თანხმობა მიიღო.

ბატონმა ელჩმა თავის ხანგრძლივ გამოსვლაში გაიხსენა **1992** წლის **9** ივნისი, როდესაც ხელი მოეწერა ერთობლივ კომუნიკეს ჩინეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ, მან აღნიშნა, რომ პატივი ჰქონდა ჩინეთის დელეგაციის წევრის რანგში თავად დასწრებოდა ამ ისტორიულ მოვლენას.
ელჩმა განაცხადა,რომ ჩინეთი და საქართველო მეგობარი ქვეყნებია. ჩვენ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. ჩინეთის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან ურთიერთობების განვითარებას და მას ამიერკავკასიის რეგიონში უმნიშვნელოვანეს

პარტნიორად მიიჩნევს. ჩინეთი პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს და მის მიერ არჩეულ განვითარების გზას. დიპლომატიური ურთიერთობების **22** წლის მანძილზე, ორმხრივი ურთიერთობები სტაბილურად და ჯანსაღად ვითარდება, პოლიტიკური ნდობა მუდმივად ღრმავდება, თანამშრომლობა ვაჭრობისა და ეკონომიკის სფეროში ნაყოფიერია, კულტურული გაცვლა დღითიდღე უფრო აქტიური ხდება, საერთაშორისო საკითხებში ვინარჩუნებთ კოორდინაციას.

უკანასკნელი წლის განმავლობაში, ჩინეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობები ახალი ძალით განვითარდა. ორმხრივი კონტაქტების გაძლიერებამ ხელი შეუწყო ჩინელ და ქართველ ხალხს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის გაღრმავებას და ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას.

ჩინეთ-საქართველოს შორის საქმიანი თანამშრომლობა წარმატებულია. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, ორმხრივი სავაჭრო ბრუნვა **9.6%**-ით გაიზარდა და **452** მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ჩინეთმა ჯამში **400** მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციები განახორციელა საქართველოში. იგი უკვე გახდა საქართველოს რიგით მესამე სავაჭრო პარტნიორი და ინვესტორი ქვეყანა. წლების მანძილზე, ჩინეთმა საქართველოს **50** მილიონი დოლარის უსასყიდლო დახმარება გაუწია, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. გარდა ამისა, დიდი ჩინური კომპანიები აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს ინფრასტრუქტურის მშენებლობაში.

ჩინური კომპანია **2015** წლის ახალგაზრდული ოლიმპიადისთვის ახორციელებს საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვან - ოლიმპიური სოფლის მშენებლობის პროექტს.

თანამშრომლობა განათლებისა და კულტურის სფეროში უფრო და უფრო აქტიურად მიმდინარეობს. ჩინური მხარის მხარდაჭერის შედეგად, ამჟამად, თბილისის ოცამდე სკოლასა და უნივერსიტეტში ხუთასამდე სტუდენტი სწავლობს ჩინურ ენას. თანაც, სხვა სასწავლებლებსაც სურთ ჩინური ენის კურსების გახსნა.

ბატონმა ელჩმა მაგალითი მოიყვანა ჩინური ენის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა ბრიტანელ სტუდენტებს მოუწოდა აქტიურად დაეწყოთ ჩინური ენის შესწავლა. ამ კუთხით, ბატონმა ელჩმა შეაქო ქართული უნივერსიტეტი და აღტაცება გამოხატა იმის გამო, რომ ამ უნივერსიტეტმა დამოუკიდებლად, ყოველგვარი დახმარების გარეშე დაიწო ჩინური ენის შესწავლა, დააარსა ჩინური კლუბი და გეგმავს კონფუცის ინსტიტუტის გახსნას.

ელჩმა სიამაყით აღნიშნა, რომ ნამდვილად არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ჩინური ენისა და ჩინეთის „ბუმი" საქართველოშიც დაიწყო. ჩინელი ხალხიც უფრო მეტ ინტერესს იჩენს საქართველოს გასაცნობად.

საქართველო უძველესი აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. მას ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, შესაბამისად, „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის" ფარგლებშიც აქტიურ როლს შეასრულებს. მჯერა, რომ თუ ჩვენი ქვეყნები გააგრძელებენ ორმხრივი ურთიერთობების სტაბილურ განვითარებას, „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის" სტრატეგიული იდეის განხორციელების კვალდაკვალ, ჩინეთ-საქართველოს შორის ურთიერთობები უფრო სწრაფად განვითარდება და თანამშრომლობა ვაჭრობის, ეკონომიკის, კულტურის, განათლების, ტურიზმისა და სხვა სფეროებში ახალ საფეხურზე გადავა.

უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებმა და დიპლომატიური კლუბის წევრებმა

ღონისძიების მონაწილეებს წარუდგინეს მათ მიერ მომზადებული შვიდენოვანი თემატური ელექტრონული **40** გვერდიანი ჟურნალი ,,დიპლომატი", რომელშიც ვეცნობით ჩინეთის ისტორიას, ეკონომიკას, კულტურას, ტრადიციებს, რელიგიას, დიპლომატიას, ცნობილ ადამიანებს, ჩინეთის პროვინციებს, ქალაქებს, ღირსშესანიშნაობებს, კულტურული მემკვიდრეობის შედევრებს და სხვა.

სტუდენტებმა სტუმარს წარუდგინეს მათ მიერ დაარსებული ჩინეთის კლუბის მასალები, უამბეს კლუბის საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ. შეხვედრის დასასრულს გაიმართა ვიდეოკოლაჟის ჩვენება, დაათვალიერეს ამ ღონისძიებისათვის სპეციალურად მომზადებული ჩინეთისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. საპატიო სტუმრის დიდი მოწონება დაიმსახურა სტუდენტების მიერ ექსპრომტად მომზადებულმა ჩინურმა ცეკვამ.

საპატიო სტუმარმა დიდი მადლობა გადაუხადა ქართული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს ჩინური ენით დაინტერესებისათვის და ამ შესანიშნავი ღონისძიების მოწყობისათვის. ბატონმა ელჩმა გამოხატა სურვილი კვლავ ეწვიოს ქართულ უნივერსიტეტს და მასტერ-კლასი ჩაუტაროს სტუდენტებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჩინური დიპლომატიის შესახებ.

„მე მთელი გულით მიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი“ „ვისურვებდი ჩინეთ-საქართველოს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო განვითარებასა და ორმხრივ ურთიერთობებში ნათელ მომავალს“აღნიშნა ბატონმა ელჩმა.

I ♥ CHINA
I ♥ CHINA
I ♥ CHINA
I ♥ CHINA

ელექტრონული სასწავლო ჟურნალი "დიპლომატი"



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტებისა და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით მოეწყო თემატური ელექტრონული სასწავლო ჟურნალის" დიპლომატის" სპეციალური ნომრის პრეზენტაცია, რომელიც მთლიანად მიეძღვნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების 65 წლისთავს. ჟურნალში ვეცნობით ჩინეთის ისტორიას, ეკონომიკას, კულტურას, ტრადიციებს, რელიგიას, დიპლომატიას, ცნობილ ადამიანებს, ჩინეთის ისტორიულ და მნიშვნელოვან ქალაქებს, ღირსშესანიშნაობებს, კულტურული მემკვიდრეობის შედევრებს და სხვა.

სპეცგამოშვება მოამზადეს საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის დიპლომატიური კლუბის წევრებმა: მარი ნუცუბიძემ, ნატა ასათიანმა, ქეთი აფაქიძემ, ანა ჯაშიაშვილმა, საშა ჯორჯიკიამ, ნიკა ბედოევმა, თათია ხუნტუამ, რევაზ ნადირაშვილმა, ელენე ლომიძემ, ხატია მელიქიძემ, გიორგი პაპუაშვილმა.

იდეის და პროექტის ავტორი: პროფესორი ავთანდილ კიკნაძე

დიზაინი და ფოტო მასალა: დიმიტრი გვიანიშვილი

საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ატაშე დენ ჰუგუანის ვიზიტი ქართულ უნივერსიტეტში

საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის **იუე ბინის** ქართულ უნივერსიტეტში ვიზიტის დროს მისი დაპირების თანახმად 2014 წლის 31 ოქტომბერს ქართულ უნივერსიტეტს ეწვია საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ატაშე **დენ ჰუგუანი** და ჩინური ერის მოხალისე ინგლისურენოვანი პედაგოგი **ლიან ქუნქუნი,** რომლებიც შეხვდნენ საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პირველი კურსის სტუდენტებს, რომლებიც სექტემბრიდან ეუფლებიან ჩინურ ენას საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ლიან ქუნქუნი მთელი სასწავლო წლის მანძილზე ოთხშაბათს და შაბათს ორი საათის განმავლობაში ჩინური ენის დახვეწაში დაეხმარება ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებს. გაცნობითი ხასიათის შეხვედრას ესწრებოდნენ საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი **ავთანდილ კიკნაძე** და ჩინური ენის პედაგოგი **სალომე სადუნიშვილი.**

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი ქართულ უნივერსიტეტში

11 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება ორთვინ ჰენიგი, საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი, დოქ. შტეფან ვაკვიცი და DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, დოქ. მარტინ პრაქსენტალერი. ღონისძიება ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებისა და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით გაიმართა.

საპატიო სტუმარს მიესალმა ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე. მან მოკლედ ისაუბრა ბატონი ელჩის დიპლომატიურ კარიერაზე. გაიხსენა ორი სახელმწიფოს წარსული ურთიერთობების ტრადიცია. პარალერები გაავლო ძველსა და ახალ ისტორიულ მოვლენებს შორის. ბატონმა რექტორმა დიდი მადლიერება გამოხატა გერმანიის სახელმწიფოსა და გერმანელი ხალხის მიმართ საქართველოს სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გამოჩენილი მორალური და მატერიალური მხარდაჭერისათვის. რექტორმა ისაუბრა დღევანდელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმატებებზე და საქართველოსა და გერმანიას შორის დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელობის და საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების გზაზე გერმანიის სახელმწიფოს როლის შესახებ. რექტორმა სტუმრებს მოუთხრო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა კურთხევით და უშუალო ინიციატივით დაარსებული ქართული

უნივერსიტეტის განვითარებისა და პერსპექტივების შესახებ. რექტორმა აღნიშნა, რომ ქართულ უნივერსიტეტში გერმანულ ენას ეუფლება 50-მდე სტუდენტი, ახალი სასწავლო წლიდან სტუდენტებმა დააარსეს გერმანიის კლუბი.

სიტყვის დასასრულს პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მადლობა გადაუხადა ბატონ ელჩს და სხვა საპატიო სტუმრებს ქართულ უნივერსიტეტში სტუმრობისათვის და იმედი გამოთქვა, რომ თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება მომავალში.

ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებმა და დიპლომატიური კლუბის წევრებმა ღონისძიების მონაწილეებს წარუდგინეს მათ მიერ მომზადებული შვიდენოვანი თემატური 56 გვერდიანი ელექტრონული ჟურნალი **„დიპლომატი",** რომელშიც ვეცნობით გერმანიის ისტორიას, ეკონომიკას, კულტურას, ტრადიციებს, რელიგიას, დიპლომატიას, ცნობილ ადამიანებს, გერმანიის მიწებსა და მნიშვნელოვან ქალაქებს, ღირსშესანიშნაობებს, კულტურული მემკვიდრეობის შედევრებს და სხვა.

სტუდენტებმა სტუმარს წარუდგინეს მათ მიერ დაარსებული გერმანიის კლუბის მასალები, უამბეს კლუბის საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ. შეხვედრის დასასრულს გაიმართა ვიდეოკოლაჟის ჩვენება, დაათვალიერეს ამ ღონისძიებისათვის სპეციალურად მომზადებული გერმანიისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. საპატიო სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა სტუდენტების მიერ ექსპრომტად მომზადებულმა გერმანულმა ცეკვამ და ქართულ უნივერსიტეტთან არსებულ ვაჟთა ვოკალურ ანსამბლ "ჰერიო"-ს მიერ შესრულებულმა მრავალხმიანმა სიმღერებმა.

ბატონმა ელჩმა ორთვინ ჰენიგმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ "გერმანულ-ქართულ ურთიერთობებს დიდი ხნის ტრადიცია აქვთ. კონტაქტები გერმანელებსა და ქართველებს შორის ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში არსებობდა. ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის იმპერატორ ფრიდრიხ I ბარბაროსას კავშირი ჰქონდა საქართველოს მეფე გიორგი მესამესთან და მის ქალიშვილ თამართან, რომელიც მოგვიანებით საქართველოს მეფე გახდა.

გერმანიასა და საქართველოს შორის კონტაქტები განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მე-19 საუკუნეში, როდესაც საქართველოში გერმანელი კოლონისტები დასახლდნენ და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს განვითარებაში. მათ შორის იყო ბევრი გერმანელი მკვლევარი, მოგზაური, მეწარმე, მხატვარი და არქიტექტორი. ბევრ ადგილს გერმანული გავლენა დღესაც ეტყობა. 2017 წელს საქართველო და გერმანია ერთობლივად აღნიშნავენ იუბილეს: საქართველოში გერმანელი კოლონისტების ჩამოსვლის 200 წლისთავს.

მიმდინარე წლის დიპლომატიური ვიზიტები ასევე ცხადყოფენ კარგ და ნაყოფიერ ურთიერთობებს - აპრილში საქართველოს ერთობლივად ეწვივნენ გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები. საქართველოს მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლებიც ხშირად სტუმრობენ გერმანიას, მაგალითად ივნისში გერმანიაში პრემიერი ღარიბაშვილი იმყოფებოდა. ფედერალურმა კანცლერმა მერკელმა კი მიიღო საქართველოში მოწვევა.

ბატონმა ელჩმა ასევე აღნიშნა, რომ მას და მის მეუღლეს ძალიან მოსწონთ თბილისში ცხოვრება. "თბილისი მომხიბლავი, ძალიან მწვანე ქალაქია კეთილი და სტუმართმოყვარე ადამიანებით. შთამბეჭდავია ქალაქში სხვადასხვა კულტურული გავლენის ერთობლიობა. მაგრამ საქართველო უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ თბილისი. საქართველო არის ასევე სხვადასხვა რეგიონები, განსხვავებული და მრავალფეროვანი ბუნებით, კულტურის უძველესი ძეგლებითა და ტრადიციებით, უგემრიელესი სამზარეულოთი და არაჩვეულებრივი მუსიკით, თავისი მრავალფეროვანი კულტურული, რელიგიური და შემოქმედებითი გამოხატულებებით, მაგრამ პირველ რიგში თავისი განსხვავებული ადამიანებით. საქართველოში მიზიდავს არა რომელიმე ერთი კონკრეტული ადგილი, არამედ უფრო მისი ხალხი.

ყოველ დღე ვხვდები სხვადასხვა ადამიანებს, რომლებიც ისეთი სიცოცხლის სიყვარულითა და სითბოთი მეგებებიან, სხვაგან რომ არ მინახავს. ბევრი სხვადასხვა კულტურა და ქვეყანა მაქვს ნანახი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილ დაიკავებს ჩემს გულში".

თავისი გამოსვლის დასასრულს ბატონმა ელჩმა აღნიშნა: "საქართველოსა და ქართველ ხალხს ვუსურვებ მშვიდობას, წინსვლას კეთილდღეობისა და უსაფრთხოების მისაღწევად და მომავალს ერთიან და თავისუფალ საქართველოში. ასეთი მომავალი თავისთავად არ მოდის, ამისათვის ქართველები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ დიალოგში ყველა თავიანთ მეზობელთან".

დამსწრე საზოგადოებას თავიანთი საქმიანობის და მომავალი გეგმების შესახებ მოუთხრეს საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის დირექტორმა, დოქ.შტეფან ვაკვიცმა და DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა, დოქ. მარტინ პრაქსენტალერმა.

სტუმრებს სიტყვით მიმართა და ბატონი ელჩისადმი დიდი მადლიერება გამოხატა სასულიერო აკადემიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ.

შეხვედრის დასასრულს, საპატიო სტუმრებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ქართული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს გერმანული ენით და კულტურით დაინტერესებისათვის და ამ შესანიშნავი ღონისძიების მოწყობისათვის.

ელექტრონული სასწავლო ჟურნალი "დიპლომატი"



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტებისა და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით მოეწყო თემატური 56 გვერდიანი ელექტრონული სასწავლო ჟურნალის" დიპლომატის" სპეციალური ნომრის პრეზენტაცია, რომელიც მთლიანად მიეძღვნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას და საქართველოში გერმანიის ელჩის ვიზიტს ქართულ უნივერსიტეტში.ჟურნალში ვეცნობით გერმანიის ისტორიას, ეკონომიკას, კულტურას, ტრადიციებს, რელიგიას, დიპლომატიას, ცნობილ ადამიანებს, გერმანიის ისტორიულ და მნიშვნელოვან ქალაქებს, ღირსშესანიშნაობებს, კულტურული მემკვიდრეობის შედევრებს და სხვა.სპეცგამოშვება მოამზადეს საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის დიპლომატიური კლუბის წევრებმა.

იდეის და პროექტის ავტორი: პროფესორი ავთანდილ კიკნაძე

დიზაინი და ფოტო მასალა: დიმიტრი გვიანიშვილი

საქართველო-იაპონიის ურთიერთობების ასოციაციის პრეზიდენტი ქართულ უნივერსიტეტში.

21 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს ესტუმრა საქართველო-იაპონიის ურთიერთობების ასოციაციის პრეზიდენტი პროფესორი კარლო ქველაძე, რომელიც სულ ახლახან დაჯილდოვდა იაპონიის იმპერატორის ლენტით დამშვენებული ამომავალი მზისა და ოქროს სხივების ორდენით ორ ქვეყანას შორის მეგობრულ ურთიერთობებში მის მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის აღსანიშნავად.

სტუმარი შეხვდა წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ სერგო ვარდოსანიძეს, რომელმაც ბატონ კარლოს მიულოცა უდიდესი ჯილდოთი დაჯილდოება და მოუთხრო ქართული უნივერსიტეტის განვითარებისა და მომავალი გეგმების შესახებ.

ბატონმა კარლო ქველაძემ რექტორს უამბო საქართველო იაპონიის ურთიერთობის ასოციაციის მრავალწლიანი მოღვაწეობის შესახებ და დიდი სურვილი გამოთქვა ქართულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობისათვის.

სტუმარმა ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამის პირველ კურსელებს წაუკითხა ლექცია იაპონიის შესახებ, რომელსაც ბატონი რექტორიც დაესწრო.

დასასრულს ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ დიდი მადლობა გადაუხადა საპატიო სტუმარს ქართულ უნივერსიტეტში სტუმრობისათვის და წარმატებები უსურვა საქართველო - იაპონიის ურთიერთობების განვითარების საქმეში.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის მიმართულების ხელმძღვანელი ავთანდილ კიკნაძე, მოწვეული პროფესორი რამაზ ლომინაძე.

ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები ჩინეთის საელჩოში

17 ნოემბერს სტუდენტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩომ ჩაატარა ღია კარის დღე, სადაც მიწვეულნი იყვნენ ის სტუდენტები, რომლებიც შეისწავლიან ჩინურ ენას სხვადასხვა უნივერსიტეტებში. მათ შორის იყვნენ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პირველი კურსის სტუდენტები, რომელთაც წელს პირველად დაიწყეს ჩინური ენის შესწავლა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა, მისმა აღმატებულება, იუე ბინმა ისაუბრა ჩინური ენის მნიშვნელობაზე, პერსპექტივებსა და მომავალ გეგმებზე. მან აღნიშნა, რომ ყოველ წელს, გაზაფხულზე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის ჩატარდება სპეციალური გამოცდები. მაღალი შეფასების მქონე სტუდენტებს კი საშუალება ექნებათ მიიღონ დაფინანსება და გაემგზავრონ სასწავლებლად ჩინეთში.

საელჩოში ჩატარდა ღონისძიება, სადაც სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა შეასრულეს სიმღერები და წარმოადგინეს ცეკვები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ქართული უნივერსიტეტის ანსამბლმა "კარიბჭემ", რომელთაც წარმოადგინეს ჩინური ცეკვა და გამოხატეს თავიანთი პოზიტიური დამოკიდებულება ჩინეთის მიმართ.

ღონისძიების ბოლოს სტუდენტებს მიეცათ საშუალება დაეთვალიერებინათ საელჩო და დაეგემოვნებინათ ტრადიციული ჩინური კერძები.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და
რეგიონალური პროცესების სტუდენტი თაკო გიგაშვილი

I
CHINA

იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქართულ უნივერსიტეტში

19 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში იაპონიის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება, ბატონი ტოშიო კაიტანი. ღონისძიება ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებისა და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით გაიმართა.

საპატიო სტუმარს მიესალმა ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე. მან მოკლედ ისაუბრა ბატონი ელჩის დიპლომატიურ კარიერაზე. დიდი მადლიერება გამოხატა იაპონიის სახელმწიფოსა და იაპონელი ხალხის მიმართ და ბატონ ელჩს მიულოცა იაპონიის ეროვნული დღესასწაული - იმპერატორის დაბადების დღე. შემდეგ რექტორმა ისაუბრა დღევანდელი იაპონიის წარმატებებზე და საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელობის შესახებ. რექტორმა აღნიშნა, რომ იაპონელი ხალხის თავდადება, შრომისმოყვარეობა, მათ მიერ მიღწეული წარმატებები ჭეშმარიტი მაგალითია ნებისმიერი ქვეყნისა და ხალხისათვის, განსაკუთრებით ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც

საქართველოა. რექტორმა გაიხსენა იაპონელი ხალხის მიერ გამოჩენილი სიმტკიცე და სიმამაცე, რომელიც მათ გამოიჩინეს სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზარალის ლიკვიდაციისა და აღდგენითი სამუშაოების უმოკლეს ვადებში განხორციელებაში. რექტორმა სტუმარს მოუთხრო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა კურთხევით და უშუალო ინიციატივით დაარსებული ქართული უნივერსიტეტის განვითარებისა და პერსპექტივების შესახებ. სიტყვის დასასრულს პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მადლობა გადაუხადა ბატონ ელჩს და სხვა საპატიო სტუმრებს ქართულ უნივერსიტეტში სტუმრობისათვის და იმედი გამოთქვა, რომ თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება მომავალში.

ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებმა და დიპლომატიური კლუბის წევრებმა ღონისძიების მონაწილეებს წარუდგინეს მათ მიერ მომზადებული რვაენოვანი თემატური 74 გვერდიანი ელექტრონული ჟურნალი **„დიპლომატი".** რომელიც მთლიანად მიეძღვნა იაპონიის ეროვნულ დღესასწაულს. ჟურნალში ვეცნობით იაპონიის ისტორიას, ეკონომიკას, კულტურას, ტრადიციებს, რელიგიას, დიპლომატიას, ცნობილ ადამიანებს, იაპონიის ისტორიულ და მნიშვნელოვან, ქალაქებს, ღირსშესანიშნაობებს, კულტურული მემკვიდრეობის შედევრებს და სხვა.

სტუდენტებმა სტუმარს წარუდგინეს მათ მიერ დაარსებული იაპონიის კლუბის მასალები, უამბეს კლუბის საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ. შეხვედრის დასასრულს გაიმართა ვიდეოკოლაჟის ჩვენება, დაათვალიერეს ამ ღონისძიებისათვის სპეციალურად მომზადებული იაპონიისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. საპატიო სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა სტუდენტების მიერ ექსპრომტად მომზადებულმა იაპონურმა ცეკვამ.

ბატონმა ელჩმა ტოშიო კაიტანმა თავის სიტყვაში,რომელიც მან ბრწყინვალედ წარმოთქვა ქართულ ენაზე აღნიშნა, რომ "იაპონია და საქართველო მეგობარი ქვეყნებია, ჩვენ საერთო ღირებულებებს ვიზიარებთ და იაპონია მხარს უჭერს საქართველოს აზიისა და ოკეანეთის მხრიდან. მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება და ნატოს არსებითი პაკეტის მიღება. იაპონია მტკიცედ უჭერს მხარს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას.

ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების ფარგლებში, წელს საქართველოს პრეზიდენტი ეწვია იაპონიას, შეხვდა ჩვენს იმპერატორს, ესაუბრა პრემიერ მინისტრს და მასთან ერთად გააკეთა ერთობლივი განცხადება.

ჩემთვის დიდი პატივი იყო დავსწრებოდი საქართველოში ბევრი იმ პროექტის გახსნის ცერემონიას, რომელსაც ჩვენ ვაფინანსებთ;

ამასთან, იაპონია უმთავრესი ფინანსური მხარდამჭერია აზიის განვითარების ბანკისა (ეიდიბი) და მეორე უმთავრეს მხარდამჭერთა შორისაა მსოფლიო ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისა (იბიარდისა), რომლებიც ენთუზიაზმით მუშაობენ საქართველოსათვის.

ხელშეკრულება დაიდო საქართველოს განათლების სამინისტროსა და იაპონიის მაღალი ტექნოლოგიების კვლევის ორგანიზაციას შორის.

კულტურის სფეროში, წლის ბოლო პროექტი იყო კაბუკის ცეკვის თეატრის წარმოდგენა, რომელზეც ყოფილმა პრემიერმა ინება დასწრება. საქართველო - იაპონიის ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტი კი საიმპერატორო ორდენით დავაჯილდოვეთ.

მთელი გულით ვუსურვებ იაპონია-საქართველოს მეგობრობის გაძლიერებას დამდეგ ახალ წელს.

ბატონმა ელჩმა სიამაყით აღნიშნა, რომ "ჩემთვის დიდი პატივი და სიამოვნებაა, ვიყო იაპონიის ელჩი საქართველოში.

უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, გამოვხატო მადლიერება იაპონიისა და იაპონელი ხალხის სახელით იმ გულითადი დახმარებისთვის და ძლიერი მხარდაჭერისთვის, რაც საქართველომ გამოიჩინა ჩვენი ხალხის მიმართ აღმოსავლეთ იაპონიაში მომხდარი დიდი მიწისძვრის და ცუნამის დროს. მაშინ მე იუსტიციის სამინისტროში, ტოჰოკუს (იაპონიის ჩრდილო-აღმოსავლეთ) რეგიონის საემიგრაციო ბიუროს გენერალურ დირექტორად ვმუშაობდი და თავად გამოვიარე ეს უბედურება.

ჩემთვის საქართველო დიდებული ქვეყანაა, რადგან აქ ცხოვრობს ასეთი მშვენიერი და სტუმართმოყვარე ხალხი; რადგან ღმერთმა ქართველებს უბოძა მშვენიერი მიწა, მთა, ბარი – ორ ზღვას შუა, როგორც ეს საქართველოს ეროვნული ჰიმნის ტექსტშია; თავისი ხანგრძლივი და მდიდარი ისტორიით. ქართველმა ხალხმა გაუძლო, შეინარჩუნა და შემოინახა ინდივიდუალობა, კულტურა და ენა მრავალრიცხოვანი შემოსევებისა და დიდი ქვეყნების წნეხის პირობებში".

მინდა საქართველოში ელჩად რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე.

"გულითადად ვუსურვებ საქართველოს მშვიდობას და შემდგომ განვითარებას, ქართველ ხალხს – ბედნიერებას".

წელს იაპონიას 3 ნობელის ლაურეატი ჰყავს, სულ კი 22. ერთ-ერთმა მათგანმა ისურვა, რომ ახალგაზრდობას მეტი ჟინი ჰქონდეს.

ვფიქრობ, „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" სტუდენტები, რომლებმაც ჩამოაყალიბეთ ეს კლუბი, უშვებთ ჟურნალს და აძლიერებთ ურთიერთობებს, ამის ნათელი მაგალითია.

ვისურვებდი, რომ ახალგაზრდებმა გაიღრმავონ ინტერესი მსოფლიო დიპლომატიაში და თავისი ჟინით კეთილდღეობა მოუტანონ საქართველოსა და მთელ მსოფლიოს.

გილოცავთ შობა-ახალწელს! გქონოდეთ ბედნიერი და წარმატებული წელიწადი!

შეხვედრის დასასრულს, საპატიო სტუმარმა დიდი მადლობა გადაუხადეს ქართული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს იაპონური ენით და კულტურით დაინტერესებისათვის და ამ შესანიშნავი ღონისძიების მოწყობისათვის. ბატონმა

ელჩმა ქართული უნივერსიტეტის რექტორი,ბატონი სერგო ვარდოსანიძე, ღონისძიების ორგანიზატორები და იაპონიის კლუბის წევრები თავის რეზიდენციაში მიიპატიჟა.

ელექტრონული სასწავლო ჟურნალი "დიპლომატი"

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტებისა და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით მოეწყო რვაენოვანი თემატური 74 გვერდიანი ელექტრონული სასწავლო ჟურნალის" დიპლომატის" სპეციალური ნომრის პრეზენტაცია, რომელიც მთლიანად მიეძღვნა იაპონიის ეროვნულ დღესასწაულს-იმპერატორის დაბადების დღეს. ჟურნალში ვეცნობით იაპონიის ისტორიას, ეკონომიკას, კულტურას, ტრადიციებს, რელიგიას, დიპლომატიას, ცნობილ ადამიანებს, იაპონიის ისტორიულ და მნიშვნელოვან ქალაქებს, ღირსშესანიშნაობებს, კულტურული მემკვიდრეობის შედევრებს და სხვა.

სპეცგამოშვება მოამზადეს საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის დიპლომატიური კლუბის წევრებმა: მარი ნუცუბიძემ, ნატა ასათიანმა, ქეთი აფაქიძემ, ანა ჯაშიაშვილმა, საშა ჯორჯიკიამ, ნიკა ბედოევმა, თათია ხუნტუამ, რევაზ ნადირაშვილმა, ელენე ლომიძემ, ხატია მელიქიძემ, გიორგი პაპუაშვილმა.

იდეის და პროექტის ავტორი: პროფესორი ავთანდილ კიკნაძე

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქართულ უნივერსიტეტში

24 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს კვლავ ეწვია საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება ბატონი იუე ბინი, რომელიც დაესწრო საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის I კურსის სტუდენტების ღია სემინარს ჩინურ ენაში.

ღია სემინარი ჩაატარა მოხალისე ჩინელმა პედაგოგმა ლიან ქუნ ქუნმა. ბატონი ელჩი აღფრთოვანებული დარჩა სტუდენტების მომზადებით და აქტიურობით, რომლებიც სულ რაღაც 2 თვეა ეუფლებიან ჩინურ ენას. სტუდენტებმა ღია გაკვეთილზე გამოამჟღავნეს საკმაოდ მაღალი ცოდნის დონე და ჩინურ ენაზე შერულებული სიმღერაც მიუძღვნეს საპატიო სტუმარს. ბატონმა ელჩმა შეაქო ჩინური ენის მოხალისე პედაგოგი ლიან ქუნ ქუნი და ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები ამ მოკლე დროში მიღწეული წარმატებისათვის და ჩინური ენითა და კულტურით დაინტერესებისათვის. ბატონმა ელჩმა დიდი მადლობა გადაუხადა ქართული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ სერგო ვარდოსანიძეს და პროფესორ ავთანდილ კიკნაძეს უნივერსიტეტში ჩინური ენის ჯგუფის შექმნისათვის და მხარდაჭერისათვის სტუდენტებს კი საჩუქრად გადასცა ჩინური ენის სახელმძღვანელოები,

ლიტერატურა და ვიდეომასალა ჩინეთისა და ჩინური ენის შესახებ და მიიპატიჟა ისინი სტუმრად საელჩოში.

შეხვედრის დასასრულს ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მადლობა გადაუხადა საპატიო სტუმარს უნივერსიტეტში სტუმრობისათვის, ჩინელი მოხალისე პედაგოგის მოვლინებისათვის და უნივერსიტეტის სტუდენტების საქმიანობით დაინტერესებისათვის. ბატონმა რექტორმა დიდი იმედი გამოთქვა, რომ ქართულ უნივერსიტეტსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს შორის თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება.

მომავალი დიპლომატების და წარმატებული ადამიანების პროგრამა

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტზე 2013/2014 სასწავლო წლიდან ხორციელდება საბაკალავრო პროგრამა **"საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები"**. პროგრამა შედგენილია უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით და ითვალისწინებს ორი უცხო ენის გაძლიერებულ სწავლებას პირველიდან მეოთხე კურსის ჩათვლით (ინგლისური, ჩინური, გერმანული, ესპანური, ფრანგული, რუსული). ახალი სასწავლო წლიდან პროგრამას დაემატება კიდევ 4 უცხო ენა(იაპონური, თურქული, არაბული და იტალიური ენები). აღსანიშნავია, რომ ყველა ჩამოთვლილი ენები პრიორიტეტულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის დასაწყებად.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპის და აზიის წამყვანი ქვეყნების ისტორიის, კულტურის, ტრადიციების, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, ინსტიტუტუციური, მმართველობის სისტემის, სოციალური პროცესებისა და სხვა სფეროების შესახებ მსოფლიო პოლიტიკურ-ისტორიული პროცესების კონტექსტში. ფართო თეორიული ცოდნა რეგიონის ქვეყნების ინტეგრაციის იდეებზე, კონცეფციებზე, პროცესებზე, რეგიონულ და ადგილობრივ მიდგომებზე. კომპლექსური ცოდნა და სპეციალური მომზადება რეგიონების წამყვანი ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, სამართლებრივ სისტემებსა და პროცედურებზე, მათი თეორიული საფუძვლების განვითარებაზე, რეგიონული, ეროვნული და ურთიერთანამშრომლობის პოლიტიკაზე, ევროკავშირის განვითარებისა და ინტეგრაციის კომპლექსურ პროცესებზე, ევროპული მოქალაქეობის მნიშვნელობაზე, ინსტიტუტუციებისა და გადაწყვეტილებების შემუშავების პოლიტიკაზე, პოლიტიკური კულტურის თავისებურებებზე, პოლიტიკური პროცესის სპეციფიკაზე.საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოების, საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის, დიპლომატიური ურთიერთობებისა და თანამედროვე პოლიტიკური პროცესების შესახებ;

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის რეგიონმცოდნეობის სპეციალობით ბაკალავრის აკადემიური ხარისხისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება პროგრამით გათვალისწინებული, სხვადასხვა კომპონენტების შერწყმის საფუძველზე.

პროგრამა ისეა აგებული, რომ სტუდენტებს სრულ წარმოდგენას უქმნის როგორც ზოგადად რეგიონმცოდნეობის და საერთაშორისო ურთიერთობების, ისე ამ დარგის ცალკეული სუბ-დისციპლინების შესახებ.

პროგრამა ასევე მოიცავს დამხმარე ცოდნის (ზოგადინტელექტუალური, კომუნიკაციური კომპეტენციები) განმსაზღვრელ სასწავლო კომპონენტებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბაკალავრს უყალიბდება ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც შემდგომში მას შრომით ბაზართან ადაპტაციის და პროფესიული ორიენტაციის საშუალებას მისცემს.

დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა დასაქმდეს სახელმწიფო დაწესებულებებში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან;

საერთაშორისო ორგანიზაციებში, სამეცნიერო-კვლევით, ანალიტიკურ და კონსალტინგურ ცენტრებში, კერძო კომპანიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასმედიის საშუალებებში.

პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში, რომელიც ორიენტირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, შემდგომი დონის სპეციალისტების მომზადებაზე.

მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას ღებულობენ: ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, სერგო ვარდოსანიძე, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, პროფესორები: მინდია უგრეხელიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, ვახტანგ გურული, მიხეილ ჯიბუტი, თეა გოგოტიშვილი, თამარ კიკნაძე, ფიქრია ასანიშვილი, რამაზ ლომინაძე, მაია ამირგულაშვილი, გურამ ჯოლია, არჩილ კალანდია, ვეფხია გვარამია, ქეთი მდინარაძე და სხვ.

ქართულ უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით და ინვენტარით, აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, საპროფესოროებით, ბიბლიოთეკით და ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდით, კომპიუტერული კლასით, კომპიუტერული პროგრამებით, უწყვეტი ინტერნეტით.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საბაზო სასწავლო დისციპლინებს: თანამედროვე აზროვნების საფუძვლები, შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებსა და რეგიონმცოდნეობაში, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე დიპლომატია: თეორია და პრაქტიკა, საერთაშორისო მოლაპარაკებები, საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოება, გლობალური და რეგიონალური პოლიტიკა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, გეოპოლიტიკა, საერთაშორისო კონფლიქტები და მათი დარეგულირების მეთოდები.

ქართულ უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. ამ მიზნით სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია დამატებითი შესაძლებლობები: წარმატებული სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, საელჩოებსა და საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობების სამსახურში; საქართველოში აკრედიტირებული საელჩოების მაღალი რანგის დიპლომატების სისტემატური მოწვევა და " მასტერ-კლასების" ორგანიზება; საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება; "დიპლომატიური მოდულის" ერთობრივი პროექტის განხორციელება საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რომელიც ითვალისწინებს სამინისტროს ქვედანაყოფების ხელმძღვანელების მონაწილეობას აღნიშნულ პროექტში, რაც დაგვეხმარება ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების ახალი ფორმების დანერგვის საქმეში, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში საგარეო პოლიტიკური უწყების სისტემასა და საერთაშორისო ორგანიზაციებში პრაქტიკული საქმიანობისათვის, ელექტრონული ჟურნალის "დიპლომატი"-ს სისტემატიურად გამოცემა, საგანმანათლებლო პროგრამის თემატიკაზე. საერთაშორისო სიმპოზიუმების, კონფერენციების,ფორუმების, სამეცნიერო სემინარების, მასტერ-კლასების, მრგვალი მაგიდების, დებატების ორგანიზება საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის, დიპლომატიის თემაზე მუდმივმოქმედი სტუდენტური ფორუმის ორგანიზება, რომლის მუშაობაში მონაწილეობას

მიიღებენ ცნობილი ქართველი და უცხოელი დიპლომატები, პოლიტიკოსები, მეცნიერები, ფსიქოლოგები, ბიზნესმენები, ჟურნალისტები და სხვა.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენს უნივერსიტეტში მრავალი მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტი განხორციელდა. ფუნქციონირებს დიპლომატიური კლუბი, ჩინეთის, იაპონიის, გერმანიის სტუდენტური კლუბები, მზადდება ელექტრონული სასწავლო ჟურნალი"დიპლომატი", სტუდენტები ეუფლებიან 6 უცხო ენას, მათ ჩინურ ენას ასწავლის ჩინელი მოხალისე პედაგოგი. მიმდინარე სასწავლო წელს უნივერსიტეტს სტუმრობდნენ საბერჩნეთის, ჩინეთის, გერმანიის, იაპონიის, თურქეთის, პოლონეთის, ისრაელის, ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები.

გასულ წელს ქართულ უნივერსიტეტში საბერძნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება ელეფთერიოს პროიოსი.

საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებმა და დიპლომატიური კლუბის წევრებმა ღონისძიების მონაწილეებს განსახილველად წარუდგინეს მათ მიერ შედგენილი შვიდენოვანი ელექტრონული ჟურნალი ,,დიპლომატი", რომელშიც ვეცნობით ბერძნულ მითოლოგიას, კულტურას, რელიგიას, ისტორიას, დიპლომატიას და ცნობილ ადამიანებს. სპეცგამოშვება მოამზადეს საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დიპლომატიური კლუბის წევრებმა: ელენე ლომიძემ,თათია ხუნტუამ, ანი კვირკველიამ, ნათია სადღობელაშვილმა , სანდრო ბარკალაიამ, ლევან ლაგვილავამ. დიზაინი და ფოტო მასალა მოამზადა დიმიტრი გვიანიშვილმა.

საღამოს დასასრულს გაიმართა ვიდეოკოლაჟის ჩვენება, დაათვალიერეს საბერძნეთისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. ღონისძიება დაასრულა ჩვენი სტუდენტების მიერ შესრულებულმა ბერძნულმა ცეკვებმა.

26 სექტემბერს ქართულ უნივერსიტეტში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების 65 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება იუე ბინი.

საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებმა და დიპლომატიური კლუბის წევრებმა ღონისძიების მონაწილეებს წარუდგინეს მათ მიერ მომზადებული შვიდენოვანი თემატური ელექტრონული 40 გვერდიანი ჟურნალი ,,დიპლომატი". რომელშიც ვეცნობით ჩინეთის ისტორიას, ეკონომიკას, კულტურას, ტრადიციებს, რელიგიას, დიპლომატიას, ცნობილ ადამიანებს, ჩინეთის პროვინციებს, ქალაქებს, ღირსშესანიშნაობებს, კულტურული მემკვიდრეობის შედევრებს და სხვა.

სტუდენტებმა სტუმარს წარუდგინეს მათ მიერ დაარსებული ჩინეთის კლუბის მასალები, უამბეს კლუბის საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ. შეხვედრის დასასრულს გაიმართა ვიდეოკოლაჟის ჩვენება, დაათვალიერეს ამ ღონისძიებისათვის სპეციალურად მომზადებული ჩინეთისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. საპატიო სტუმრის დიდი მოწონება დაიმსახურა სტუდენტების მიერ ექსპრომტად მომზადებულმა ჩინურმა ცეკვამ.

11 ნოემბერს ქართულ უნივერსიტეტში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება ორთვინ ჰენიგი, საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი, დოქ. შტეფან ვაკვიცი და DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, დოქ. მარტინ პრაქსენტალერი. ღონისძიება ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული

პროცესების მიმართულების სტუდენტებისა და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით გაიმართა.

ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებმა და დიპლომატიური კლუბის წევრებმა ღონისძიების მონაწილეებს წარუდგინეს მათ მიერ მომზადებული შვიდენოვანი თემატური 56 გვერდიანი ელექტრონული ჟურნალი ,,დიპლომატი". რომელშიც ვეცნობით გერმანიის ისტორიას, ეკონომიკას, კულტურას, ტრადიციებს, რელიგიას, დიპლომატიას, ცნობილ ადამიანებს, გერმანიის მიწებსა და მნიშვნელოვან, ქალაქებს, ღირსშესანიშნაობებს, კულტურულ მემკვიდრეობას და სხვა.

სტუდენტებმა სტუმარს წარუდგინეს მათ მიერ დაარსებული გერმანიის კლუბის მასალები, უამბეს კლუბის საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ. შეხვედრის დასასრულს გაიმართა ვიდეოკოლაჟის ჩვენება, დაათვალიერეს ამ ღონისძიებისათვის სპეციალურად მომზადებული გერმანიისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. საპატიო სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა სტუდენტების მიერ ექსპრომტად მომზადებულმა გერმანულმა ცეკვამ და ანსამბლ"ჰერიოს" მიერ შესრულებულმა მრავალხმიანმა სიმღერებმა.

დამსწრე საზოგადოებას თავიანთი საქმიანობის და მომავალი გეგმების შესახებ მოუთხრეს საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის დირექტორმა, დოქ. შტეფან ვაკვიცმა და DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა, დოქ. მარტინ პრაქსენტალერმა.

შეხვედრის დასასრულს, საპატიო სტუმრებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ქართული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს გერმანული ენით და კულტურით დაინტერესებისათვის და ამ ღონისძიების მოწყობისათვის.

17 ნოემბერს შედგა ქართული უნივერსიტეტის სტუდენტების ვიზიტი ჩინეთის რესპუბლიკის საელჩოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის, მისი აღმატებულება, იუე ბინის მიწვევით. სტუდენტებმა ძალიან საინტერესო და შინაარსიანი დღე გაატარეს ჩინეთის საელჩოში და კულტურულ ღონისძიებაშიც მიიღეს მონაწილეობა და ჩინური ცეკვაც შეასრულეს.

19 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში იაპონიის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება, ბატონი ტოშიო კაიტანი.

საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებმა და დიპლომატიური კლუბის წევრებმა ღონისძიების მონაწილეებს წარუდგინეს მათ მიერ მომზადებული რვაენოვანი თემატური 74 გვერდიანი ელექტრონული ჟურნალი ,,დიპლომატი". პრეზენტაცია, რომელიც მთლიანად მიეძღვნა იაპონიის ეროვნულ დღესასწაულს - იმპერატორის დაბადების დღეს.ჟურნალში ვეცნობით იაპონიის ისტორიას, ეკონომიკას, კულტურას, ტრადიციებს, რელიგიას, დიპლომატიას, ცნობილ ადამიანებს, იაპონიის ისტორიულ და მნიშვნელოვან ქალაქებს, ღირსშესანიშნაობებს და სხვა.

სპეცგამოშვება მოამზადეს საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დიპლომატიური კლუბის წევრებმა: მარი ნუცუბიძემ, ნატა ასათიანმა, ქეთი აფაქიძემ, ანა ჯაშიაშვილმა, საშა ჯორჯიკიამ, ნიკა ბედოევმა, თათია ხუნტუამ, რევაზ ნადირაშვილმა, ელენე ლომიძემ, ხატია მელიქიძემ, გიორგი პაპუაშვილმა, დიმიტრი გვიანიშვილმა. სტუდენტებმა სტუმარს წარუდგინეს მათ მიერ დაარსებული იაპონიის კლუბის მასალები, უამბეს კლუბის საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ. შეხვედრის დასასრულს გაიმართა ვიდეოკოლაჟის ჩვენება, დაათვალიერეს ამ ღონისძიებისათვის სპეციალურად მომზადებული იაპონიისადმი მიძღვნილი

ფოტოგამოფენა. საპატიო სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა სტუდენტების მიერ მომზადებულმა იაპონურმა ცეკვამ.

შეხვედრის დასასრულს, საპატიო სტუმარმა დიდი მადლობა გადაუხადა ქართული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს იაპონური ენით და კულტურით დაინტერესებისათვის და ამ შესანიშნავი ღონისძიების მოწყობისათვის. ბატონმა ელჩმა ქართული უნივერსიტეტის რექტორი,ბატონი სერგო ვარდოსანიძე, ღონისძიების ორგანიზატორები და იაპონიის კლუბის წევრები თავის რეზიდენციაში მიიპატიჟა.

24 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს კვლავ ეწვია საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება ბატონი იუე ბინი, რომელიც დაესწრო საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის I კურსის სტუდენტების ღია სემინარს ჩინურ ენაში.

ღია სემინარი ჩაატარა მოხალისე ჩინელმა პედაგოგმა ლიან ქუნ ქუნმა. ბატონი ელჩი აღფრთოვანებული დარჩა სტუდენტების მომზადებით და აქტიურობით, რომლებიც სულ რაღაც 2 თვეა ეუფლებიან ჩინურ ენას. სტუდენტებმა ღია გაკვეთილზე გამოამჟღავნეს საკმაოდ მაღალი ცოდნის დონე და ჩინურ ენაზე შესრულებული სიმღერაც მიუძღვნეს საპატიო სტუმარს. ბატონმა ელჩმა შეაქო ჩინური ენის მოხალისე პედაგოგი ლიან ქუნ ქუნი და ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები ამ მოკლე დროში მიღწეული წარმატებისათვის და ჩინური ენითა და კულტურით დაინტერესებისათვის. ბატონმა ელჩმა სტუდენტებს საჩუქრად გადასცა ჩინური ენის სახელმძღვანელოები, ლიტერატურა და ვიდეომასალა ჩინეთისა და ჩინური ენის შესახებ და კვლავ მიიპატიჟა მომავალი დიპლომატები სტუმრად საელჩოში.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ქართულ უნივერსიტეტში 150-მდე სტუდენტი სწავლობს საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამაზე. სტუდენტები საერთაშორისო სტუდენტური მოძრაობის ჩარჩოებში აქტიურად მონაწილეობენ გაეროს, ნატოს და ევროკავშირის მოდელების შესწავლაში და იყენებენ მას, როგორც მრავალმხრივი დიპლომატიის ტრენინგებს.

უახლოეს მომავალში ქართულ უნივერსიტეტს განზრახული აქვს დააფუძნოს კონფუცის ინსტიტუტი, რომლის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები,რომლებიც დიდ დაინტერესებას იჩენენ ჩინური ენისა და კულტურის შესწავლისადმი.

მარტის თვეში დაგეგმილია საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მისი აღმატებულება ფედერიკა ფავის ვიზიტი ქართულ უნივერსიტეტში,მზადდება იტალიის რესპუბლიკისადმი მიძღვნილი ღონისძიება და ელექტრონული სასწავლო ჟურნალის"დიპლომატის" სპეციალური ნომრის პრეზენტაცია, რომელიც მთლიანად მიეძღვნებაა იტალიის რესპუბლიკას.

აღსანიშნავია,რომ მეორე სემესტრიდან საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამის სტუდენტების და დიპლომატიური კლუბის წევრების მიერ მრავალი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის ბევრი სიახლეა გათვალისწინებული.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი,
პროფესორი ავთანდილ კიკნაძე

ქართული უნივერსიტეტის სტუდენტების კიდევ ერთი წარმატება

რამდენიმე დღის წინ საქართველოში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მიერ ჩატარებულ კონკურსში, ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის ორმა პირველკურსელმა, საბა ხაზალიამ და მარიამ ანთაძემ გაიარეს ორ ეტაპოვანი კონკურსი და მიიღეს ერთ წლიანი სტიპენდია. 2015-2016 სასწავლო წელს ისინი სწავლას გააგრძელებენ ჩინეთში ერთ-ერთ პრესტიჟულ უნივერსიტეტში. ვულოცავთ ამ დიდ წარმატებას ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებს და მათ პედაგოგებს სალომე სადუნიშვილს და ჩინელ მოხალისე პედაგოგს ლიან ქუნ ქუნს.

დიპლომატიური ოსტატობის მასტერკლასი ქართულ უნივერსიტეტში

24 მარტს ქართული უნივერსიტეტის წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის სააქტო დარბაზში საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით გაიმართა შეხვედრა საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრთან, საერთაშორისო სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორთან **ირაკლი მენაღარიშვილთან,** რომელმაც ჩაატარა დიპლომატიური ოსტატობის მასტერკლასი საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის პირველ და მეორე კურსელებისთვის.

შეხვედრა გახსნა და სტუმარს მიესალმა ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**, რომელმაც სტუდენტებს გააცნო სტუმრის ბიორგაფია და ისაუბრა მისი პროფესიული მოღვაწეობის და დამსახურებების შესახებ.

ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა თავის გამოსვლაში მოკლედ მიმოიხილა მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღევანდელი პრიორიტეტები. ისაუბრა იმ გამოწვევების შესახებ, რომლის წინაშეც დგას დღევანდელი საქართველო. სტუდენტებმა დიდი ინტერესით მოისმინეს სტუმრის გამოსვლა და ბევრი საინტერესო შეკითხვაც დაუსვეს, რომლებზეც მიიღეს კომპეტენტური და ამომწურავი პასუხები.

შეხვედრამ ძალზედ საინტერესოდ ჩაიარა, სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მსგავსი შეხვედრები კიდევ გაიმართოს და სტუმარს სთხოვეს მომავალშიც ესტუმროს ქართულ უნივერსიტეტს.

ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა კმაყოფილება გამოთქვა სტუდენტებთან შეხვედრის გამო, დადებითად შეაფასა მათი აქტიურობა და დაპირდა მათ, რომ მომავალში კვლავ ეწვევა ქართულ უნივერსიტეტს.

დასასრულს ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მადლობა გადაუხადა ბატონ ირაკლი მენაღარიშვილს მობრძანებისთვის, საინტერესო მასტერკლასის ჩატარებისთვის და სამახსოვროდ გადასცა წიგნი **"წერილები პატრიარქს".**

შეხვედრა იტალიის საელჩოში

2015 წლის 30 მარტს ქართული უნივერსიტეტის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის სხდომათა დარბაზში საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით გაიმართება იტალიის რესპუბლიკისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც დაესწრება საქართველოში იტალიის რესპუბლიკის ელჩი, მისი აღმატებულება **ქ-ნ ფედერიკა ფავი.**

აღნიშნული ღონისძიებისთვის მზადდება იტალიისადმი მიძღვნილი ჟურნალის "დიპლომატის" სპეციალური თემატური ნომერი, რომელშიც დაიბეჭდება ინტერვიუ იტალიის ელჩთან.იტალიის ელჩის

მიწვევით 2015 წლის 23 მარტს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის სპეციალისტი ნინო აბრამიშვილი იმყოფებოდა საქართველოში იტალიის რესპუბლიკის ელჩთან მიღებაზე.

ელჩთან შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა, მან დასმულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა. ისაუბრა საქართველოსა და იტალიას შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობების და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივების შესახებ. ელჩმა საქართველოში თავისი მოღვაწეობის ბევრ საინტერესო თემაზე ისაუბრა. გამოხატა დიდი პატივისცემა საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ.

ქართული უნივერსიტეტის სტუდენტების შეხვედრა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან , მის აღმატებულება იუე ბინთან

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბატონმა იუე ბინმა ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებიც ჩვენს უნივერსიტეტში პირველი კურსიდან სწავლობენ ჩინურ ენას, მიიპატიჟა პრესტიჟულ ჩინურ რესტორანში სადილად, რომელსაც ჰქონდა ერთგვარი ღია გაკვეთილის სახე. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ჩინელი მოხალისე პედაგოგი ლიან ქუნ ქუნი, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტებს ასწავლის ჩინურ ენას.

გარდა იმისა, რომ სტუდენტებმა დააგემოვნეს ჩინური კერძები, მათ ჩინური ენის შესწავლისაა და კულტურის შესახებ შთაბეჭდილებები გაუზიარეს ბატონ იუე ბინს და ისაუბრეს მასთან ჩინურ და ინგლისურ ენებზე.

ჩინეთის ელჩმა ისაუბრა საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის სტუდენტების სწავლა-განათლებაზე.

ბატონმა ელჩმა სტუდენტებს ურჩია, რომ იყვნენ უფრო მონდომებულები და შეახსენა ,რომ კარგად სწავლის შემთხვევაში მათაც აუცილებლად ექნებათ შანსი ჩინეთში სწავლის გაგრძელების, ისევე, როგორც მათ კურსელებს მარიამ ანთაძესა და საბა ხაზალიას, რომლებიც სექტემბრიდან ერთი წლით მიემგზავრებიან ჩინეთის უნივერსიტეტში სასწავლებლად.

ბატონმა ელჩმა ასევე ისაუბრა ჩინურ და ქართულ ტრადიციებზე, დიპლომატიურ ურთიერთობებზე.

ბატონი ელჩი ძალიან გახარებული და ნასიამოვნები დარჩა ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრით.

ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ეს დღე იყო ძალიან შინაარსიანი და ერთგვარი პრაქტიკა და სტიმული ჩინური ენის უკეთ შესწავლისათვის.

ელექტრონული სასწავლო ჟურნალი " დიპლომატი"



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტებისა და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით მოეწყო შვიდენოვანი თემატური 82 გვერდიანი ელექტრონული სასწავლო ჟურნალის" დიპლომატის" სპეციალური ნომრის პრეზენტაცია, რომელიც მთლიანად მიეძღვნა იტალიის რესპუბლიკას. ჟურნალში ვეცნობით იტალიის ისტორიას, ეკონომიკას, კულტურას, ტრადიციებს, რელიგიას, დიპლომატიას, ცნობილ ადამიანებს, იტალიის ისტორიულ და მნიშვნელოვან ქალაქებს, ღირსშესანიშნაობებს, კულტურული მემკვიდრეობის შედევრებს და სხვა.

სპეცგამოშვება მოამზადეს საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის დიპლომატიური კლუბის წევრებმა: ანა ჯაშიაშვილმა, საშა ჯორჯიკიამ, ნიკა ბედოევმა, თათია ხუნტუამ, ელენე ლომიძემ, ხატია მელიქიძემ, გიორგი პაპუაშვილმა.

ჟურნალის პრეზენტაციას ესწრებოდა იტალიის ელჩი საქართველოში ქალბატონი ფედერიკა ფავი.
იდეის და პროექტის ავტორი: პროფესორი ავთანდილ კიკნაძე

დიზაინი და ფოტო მასალა: დიმიტრი გვიანიშვილი

იტალიის ელჩი სტუმრად ქართულ უნივერსიტეტში

2015 წლის 30 მარტს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში იტალიის რესპუბლიკისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოში იტალიის ელჩი, მისი აღმატებულება, ქალბატონი ფედერიკა ფავი. ღონისძიება ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებისა და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით გაიმართა.

www.sangu.edu.ge

საპატიო სტუმარს მიესალმა ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე. მან მოკლედ ისაუბრა საქართველოსა და იტალიის ურთიერთობების შესახებ, გაიხსენა ძველი რომისა და ქართლის სამეფოს ისტორიული კავშირები და ყურადღება გაამახვილა იმ წვლილზე, რომელიც იტალიის რესპუბლიკას შეაქვს საქართველოს ევროინტეგრაციის განმტკიცების და კულტურული ურთიერთოებების განვითარების საქმეში.

ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებმა და დიპლომატიური კლუბის წევრებმა ღონისძიების მონაწილეებს წარუდგინეს მათ მიერ მომზადებული შვიდენოვანი, თემატური 82 გვერდიანი ელექტრონული ჟურნალი **„დიპლომატი",** რომელიც მთლიანად მიეძღვნა იტალიის რესპუბლიკას. ჟურნალში ვეცნობით იტალიის ისტორიას, ეკონომიკას, კულტურას, ტრადიციებს, რელიგიას, დიპლომატიას, ცნობილ ადამიანებს, იტალიის ისტორიულ და მნიშვნელოვან, ქალაქებს, ღირსშესანიშნაობებს, კულტურული მემკვიდრეობის შედევრებს და სხვა.
სტუდენტებმა სტუმარს წარუდგინეს მათ მიერ დაარსებული იტალიის კლუბის მასალები, უამბეს კლუბის საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ. ასევე გაიმართა ვიდეოკოლაჟის ჩვენება, დაათვალიერეს ამ ღონისძიებისათვის სპეციალურად მომზადებული იტალიისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. საპატიო სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა სტუდენტების მიერ ექსპრომტად მომზადებულმა იტალიურმა ცეკვამ.

ქალბატონმა ელჩმა აღფრთოვანება ვერ დამალა დღევანდელი ღონისძიებისადმი და მოკლედ ისაუბრა საქართველო-იტალიის ურთიერთობებზე, იმ პრობლემურ საკითხებზე რომელიც საქართველოს აღელვებს საერთაშორისო არენაზე. სტუდენტებმა მრავალი შეკითხვა დაუსვეს ელჩს და მიიღეს ამომწურავი პასუხები.

შეხვედრის დასასრულს ქართული უნივერსიტეტის რექტორმა დიდი მადლობა გადაუხადა ქალბატონ ელჩს მობრძანებისათვის და საჩუქრებთან ერთად გადასცა ყვავილები.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქართული უნივერსიტეტის ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა "ჰერიომ" და ქართული უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა "კარიბჭემ".

ქალბატონმა ფედერიკა ფავიმ დიდი მადლობა გადაუხადა ქართული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს შესანიშნავი ღონისძიების მოწყობისათვის და მადლობის ნიშნად დაპატიჟა ისინი 2 ივნისს იტალიის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

I
ITALY

I
ITALY

I
ITALY

Nostre Te Ipsum

დიპლომატიური ოსტატობის მასტერკლასი ქართულ უნივერსიტეტში

17 აპრილს ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის სხდომათა დარბაზში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების საკითხებში, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბატონმა ზურაბ აბაშიძემ ჩაატარა დიპლომატიური ოსტატობის მასტერკლასი საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის. შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის სხვა სპეციალობების სტუდენტებიც.

შეხვედრა გახსნა და სტუმარს მიესალმა ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**, რომელმაც სტუდენტებს მოუთხრო სტუმრის პროფესიული მოღვაწეობის და დამსახურებების შესახებ.
ბატონმა ზურაბ აბაშიძემ თავის გამოსვლაში მოკლედ მიმოიხილა მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღევანდელი პრიორიტეტები. ისაუბრა იმ გამოწვევების შესახებ, რომლის წინაშეც დგას დღევანდელი საქართველო. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, განმარტა აბაშიძე-კარასინის ფორმატის არსი და მისი მნიშვნელობა.

სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა დიდი ინტერესით მოისმინეს სტუმრის გამოსვლა და ბევრი საინტერესო შეკითხვაც დაუსვეს, რომლებზეც მიიღეს კომპეტენტური და ამომწურავი პასუხები.

შეხვედრა ძალზედ საინტერესოდ წარიმართა. სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მსგავსი შეხვედრები კიდევ გაიმართოს და სტუმარს სთხოვეს მომავალშიც ესტუმროს ქართულ უნივერსიტეტს.

ბატონმა ზურაბ აბაშიძემ კმაყოფილება გამოთქვა სტუდენტებთან შეხვედრის გამო, დადებითად შეაფასა მათი აქტიურობა და დაპირდა მათ, რომ უახლოეს მომავალში წაუკითხავს საჯარო ლექციას საგარეო პოლიტიკისა და თანამედროვე დიპლომატიის პრობლემებზე.

დასასრულს ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მადლობა გადაუხადა ბატონ ზურაბ აბაშიძეს მობრძანებისთვის, საინტერესო მასტერკლასის ჩატარებისთვის და სამახსოვროდ გადასცა წიგნი **"წერილებიპატრიარქს".**

ქართული უნივერსიტეტის სტუდენტების კიდევ ერთი წარმატება

28 მაისს საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსა და თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსიტუტის ორგანიზებით, თავისუფალი უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კამპუსში გაიმართა საერთაშორისო სტუდენტური კონკურსის "ჩინური ენის ხიდის" შესარჩევი ტური საქართველოში.

კონკურსი მიზნად ისახავს საქართველოში ჩინური ენის შესწავლის ხელშეწყობასა და საქართველო-ჩინეთს შორის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებას. კონკურსს ესწრებოდნენ საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი, ბატონო იუე ბინი, საქართველოს

საგარეო საქმეთა სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები.

სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან ერთად კონკურსში მონაწილეობდნენ ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის პირველკურსელები ქეთი ყარანაშვილი, სოფო სირაძე, მარიამ სონიშვილი და ხატია მეტრეველი, რომლებიც ჩინურ ენას ეუფლებიან ჩვენს უნივერსიტეტში. კონკურსი 2 ეტაპად ჩატარდა და ძალზე საინტერესო იყო.სტუდენტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩინური ენის ცოდნასა და თავიანთ შემოქმედებაში.კონკურსის ჟიურიმ,რომელიც საქართველოში ჩინეთის საელჩოს თანამშრომლებით და ჩინური ენის სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული ცხარე კამათის შედეგად გამოავლინა კონკურსის გამარჯვებულები. წამახალისებელი პრიზი ერგო მარიამ სონიშვილს, მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს ხატია მეტრეველმა და სოფო სირაძემ, მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ქეთევან ყარანაშვილმა, რომელმაც მობილურ ტელეფონთან ერთად მოიპოვა სპეციალური პრიზი- უფასო საგზური ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

გამარჯვებულებს სპეციალური სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისსაგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ბატონმა იუე ბინმა.

გულითადად ვულოცავთ ამ დიდ წარმატებას ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებს და მა თ პედაგოგებს სალომესადუნიშვილს და ჩინელ მოხალისე პედაგოგს ლიან ქუნ ქუნს.ეს უკვე ქართული უნივერსიტეტის სტუდენტების მეორე დიდი გამარჯვებაა, რომლებიც ერთი წელიც არ არის რაც ჩინურ ენას ეუფლებიან.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ საქართველოში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მიერ ჩატარებულ კონკურსში, ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის ორმა პირველკურსელმა, საბა ხაზალიამ და მარიამ ანთაძემ წარმატებით გაიარეს ორ ეტაპოვანი კონკურსი და მიიღეს ერთ წლიანი სტიპენდია. 2015-2016 სასწავლო წელს ისინი სწავლას გააგრძელებენ ჩინეთში გუანჯოუს პრესტიჟულ უნივერსიტეტში.

კონკურსის გამარჯვებული ქეთევან ყარანაშვილი: „ჩემი ჩინური ოცნება“ სწორედ ამ თემის მოყოლა მიწევდა ჩინური ენის ხიდის შესარჩევ ტურზე და დღეს უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ ეს ოცნება ამიხდა.

ჩინური ენის ხიდი ტარდება ყოველ წელიწადს, რაც სტუდენტებს შანსს აძლევს პირველ და მეორე ადგილზე გასულები გაემგზავრონ ჩინეთში. როდესაც ჩინური ენის სწავლა დავიწყე ჩინეთში გამგზავრება ჩემი ერთ-ერთ ოცნება გახდა და მიხარია, რომ ოცნება სულ მალე რეალობად იქცევა.

დღეს უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგანაც სწორედ ამ კონკურსში ავიღე მეორე საპრიზო ადგილი და ჩინეთში გავემგზავრები 10 დღით. ვთვლი, რომ ასე მოკლე დროში ეს ჩვენი ყველას დიდი ერთობლივი წარმატებაა. ყველას უღრმეს მადლობას ვუხდი, განსაკუთრებით კი ჩვენს ლექტორებს სალომე სადუნიშვილს და ლიან ქუნ ქუნს, რადგანაც მათ მართლა ყველაფერი

გააკეთეს ჩემი წარმატებისათვის. ემოციებიც უდიდესი იყო ვფიქრობ მისი სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. კონკურსის დამთავრების შემდეგ ჩინეთის ელჩმა დაგვაგემოვნებინა ჩინური კერძები, ასევე გამესაუბრა, მომცა რჩევები და წარმატება მისურვა.

დღევანდელი დღე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. მიხარია, რომ ვსწავლობ ჩინურს. ყველა ჩემს ჯგუფელს, რომელიც ასევე სწავლობს ჩინურ ენას ვუსურვებ დიდ წარმატებას.

"ტერორიზმი - ბრენდი ისლამურ ფუნდამენტალიზმში"

27 მაისს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს გუგა ჯულუხიძეს შეხვდნენ და საინტერესო ლექცია მოისმინეს თემაზე "ტერორიზმი - ბრენდი ისლამურ ფუნდამენტალიზმში". სტუდენტებმა მოწვეულ ლექტორთან ერთად დისკუსია გამართეს ტერორიზმის მიზეზებზე, მასთან ბრძოლის გზებსა და საქართველოს ჩართულობაზე ანტი-ტერორისტულ ოპერაციებში. გაეცნენ იმ მთავარ ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომლებიც არაბულ სამყაროში სარწმუნეობის სახელით ებრძვიან დასავლეთს. ლექცია ინტერაქციულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

შეხვედრა ესტონეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან

8 ივნისს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა ესტონეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, ბატონ პრიიტ ტურქს უმასპინძლა.

შეხვედრა წმიდა ილია მართლის სახელობის სხდომათა დარბაზში შედგა, რომელიც გახსნა და საპატიო სტუმარს მიესალმა ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო

ვარდოსანიძე. მან გამოხატა პატივისცემა ელჩის მიმართ და აღნიშნა საქართველოსა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მეგობრული ურთიერთობები, როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები იძულებით იყვნენ გაერთიანებულნი საბჭოთა სივრცეში. ისინი ყველას საუკეთესო მაგალითს აძლევდნენ, თუ როგორ უნდა ებრძოლათ დამოუკიდებლობისათვის. ბატონმა რექტორმა ისაუბრა დღევანდელი ვითარების, კერძოდ, იმის შესახებ, რომ როგორც ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, ისე ჩვენი ქვეყანაც თავისუფალი და დამოუკიდებელია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბალტიის ქვეყნები უკვე ევროსტრუქტურების აქტიური წევრებია. მან გამოთქვა ღრმა რწმენა იმისა, რომ რამდენადაც ამ ქვეყნებმა კარგად იციან, რა ძნელია დიდი სახელმწიფოების პირისპირ დგომა და შენი ეროვნული ინტერესების დაცვა. საქართველოს ყოველთვის ჰქონდა და მომავალშიც ექნება თქვენი მხარდაჭერის იმედი. ბატონი რექტორი კიდევ ერთხელ მიესალმა ბატონ ელჩს და გამოთქვა იმედი, რომ ქართულ უნივერსიტეტსა და ესტონეთის უნივერსიტეტებს შორის დამყარდება მჭიდრო თანამშრომლობა, რაც ხელს შეუწყობს პოსტსაბჭოთა სივრციდან გამოსული ქვეყნების განათლების სისტემის სრულყოფას, რომელიც ასე აუცილებელია განვითარებისა და წინსვლისთვის.

ესტონეთის ელჩმა, ბატონმა პრიიტ ტურქმა ქართული უნივერესიტეტის სტუდენტებს საქართველო-ესტონეთის თანამშრომლობის პროგრამები გააცნო, გაიხსენა ესტონეთის ევროკავშირში გაწევრიანების ისტორია და მათი გამოცდილების გაზიარებით საქართველო-ევროკავშირის ინტეგრაციის პერსპექტივებზე ისაუბრა. დასასრულს სტუდენტების ინტერესების შესაბამისად ბატონმა პრიტ ტურქმა ესტონეთის მთავრობის მიერ ქართველი სტუდენტებისთვის გამოყოფილი სტიპენდიებისა და დაფინანსებების შესახებაც ისაუბრა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების პირველი და მეორე კურსის სტუდენტები ესწრებოდნენ. შეხვედრის დასასრულს ელჩმა დაათვალიერა ქართული უნივერსიტეტი და სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად გადაიღო სამახსოვრო ფოტოები.

ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

15-29 აგვისტოს ლანჯოუს უნივერსიტეტისა და კონფუცის ინსტიტუტის მიწვევით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე და საერთაშორისო

ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ავთანდილ კიკნაძე.

გაიმართა საქმიანი შეხვედრები ლანჯოუს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, დაისახა კონკრეტული მიზნები უნივერსიტეტებს შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლითი პროგრამების, ჩინური ენის კურსებზე სტუდენტების ყოველწლიურად გაგზავნის, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების, აბრეშუმის გზის პროექტის ფარგლებში ერთობლივი კვლევების ჩატარების, ახალი სასწავლო წლიდან ქართულ უნივერსიტეტში კონფუცის კლასის გახსნის და ორივე უნივერსიტეტისათვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

ლანჯოუს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტთან, პროფესორ პან ბაოტიანთან შეხვედრაზე ბატონმა სერგო ვარდოსანიძემ მასპინძლებს დაწვრილებით მოუთხრო ქართული უნივერსიტეტის შექმნის, განვითარების,მომავალი პერსპექტივებისა და ჩვენს უნივერსიტეტში ჩინური ენის სწავლების შესახებ, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. შეხვედრაზე ლანჯოუს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა სტუმრებს უამბო უნივერსიტეტის შესახებ, რომელიც 1909 წელს არის დაარსებული და ერთ-ერთი საუკეთესოა ჩინეთში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში სწავლობს 30 ათასამდე სტუდენტი და 5 ათასამდე თანამშრომელი ჰყავს.

ჩინეთის მხარემ საინტერესოდ მიიჩნია ის პროექტები, რომლებიც ქართულ უნივერსიტეტში ხორციელდება ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციისთვის და სრული მზადოფნა გამოთქვა მხარდაჭერისა და ერთობლივი პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისთვის.

მასპინძლებმა ქართულ დელეგაციას ოფიციალური შეხვედრების გარდა შესანიშნავი პირობები შეუქმნეს თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარებისათვის, დაათვალიერებინეს ლანჯოუს უნივერსიტეტის კამპუსები, კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტული ბაზები, საკონცერტო და სხდომათა დარბაზები, აუდიტორიები, ბიბლიოთეკები.

ამის გარდა, სტუმრებმა დაათვალიერეს განსუს პროვინციის სხვა ქალაქები, ლანჯოუს ღირსშესანიშნაობები, კულტურული და ისტორიული ძეგლები, გაეცვნენ ჩინურ ტრადიციებს, ჩინური ჩაის დაყენების კულტურას, მრავალფეროვან ჩინურ სამზარეულოს და სხვა.

ვიზიტის ბოლო 3 დღე ძალზედ შთამბეჭდავი იყო. მასპინძლებმა სტუმრებს დაათვალიერებინეს პეკინის ღირსშესანიშნაობები, კულტურული ძეგლები, ჩინეთის დიდი კედელი, იმპერატორების სასახლეები, პეკინის ოლიმპიური სოფელი, კონფუცის სათაო ოფისი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტი მეტად ნაყოფიერი და საინტერესო გამოდგა.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი,პროფესორი ავთანდილ კიკნაძე

兰州大学国际文化交流学院

Welcome the Education Delegation from Confucius Institute at
Free University of Tbilisi, Georgia

Welcome the Education Delegation from Confucius
Free University of Tbilisi, Georgia

中山铁林



შეხვედრა პირველკურსელებთან

16 სექტემბერი,2015

16 სექტემბერს გაიმართა ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის პირველკურსელებთან შეხვედრა.შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქართული უნივერსიტეტის რექტორი,პროფესორი სერგო ვარდოსანიძე,დეკანის მოადგილე,პროფესორი ვახტანგ გურული და პროგრამის ხელმძღვანელი,პროფესორი ავთანდილ კიკნაძე.

მიღება საქართველოში ჩინეთის ელჩთან

20 სექტემბერი ,2015

საქართველოში ჩინეთის ელჩის,ბატონი იუე ბინის ინიციატივით გაიმართა ოფიციალური მიღება ქართული დელეგაციის ჩინეთში ვიზიტთან დაკავშირებით ჩინური კომპანიის „ჰუალინგ ჯგუფის“ სასტუმროს საკონფერენციო დარბაზში.საუბარი შეეხო ჩინეთში ვიზიტის შთაბეჭდილებებს.ბატონი ელჩი ჩინურ ენაზე გაესაუბრა სტუდენტებს და მათაც ინფორმაციები ჩინურ ენაზე მიაწოდეს ელჩს.

დოქორი მარტინ პრაქსენტალერი ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა

2015 წლის 29 სექტემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) ხელმძღვანელმა, დოქტორმა მარტინ პრაქსენტალერმა ქართული უნივერსიტეტის

სტუდენტებისთვის, დოქტორანტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

ოფიციალური მიღება საქართველოში ჩინეთის ელჩის სახელით
30 სექტემბერი,2015

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების 66 წლისთავისადმი მიძღვნილ ოფიციალურ მიღებაზე საქართველოში ჩინეთის ელჩთან,ბატონ იუე ბინთან Radisson Blu Iveria Hotel, Tbilisi-ში.

ტელეხიდი ჩინეთში ენის შემსწავლელ კურსებზე გაგზავნილ ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებთან

2015 წლის 15 ოქტომბერს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში ტელე-ხიდი გაიმართა ჩინეთის ჯილინის უნივერსიტეტთან, სადაც ჩინეთის სახალხო რეპუბლიკის საელჩოს გრანტით ენის კურსებზე გაცვლითი სასწავლო პროგრამით სწავლობენ ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონული პროცესების სტუდენტები მარიამ ანთიძე და საბა ხაზალია. ტელე-ხიდში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანმა პროფესორმა ვახტანგ გურულმა, საგანმანთლებლო პროგრამის საერთაშორისო ურთიერთიერთობებისა და რეგიონული პროცესები ხელმძღვანელმა პროფესორმა ავთანდილ კიკნაძემ და უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

ქართული უნივერსიტეტიდან ჩინეთში სასწავლებლად წასულმა სტუდენტებმა გამოცდილება გაუზიარეს თავიანთ კურსელებს, ისაუბრეს ჩინეთის სასწავლო სისტემასა და უცხო ქვეყნის კულტურაზე. პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ წარმატება უსურვა ორივე სტუდენტს და აღნიშნა, რომ მომდევნო წელს ჩინეთის საელჩო ისევ დაეხმარება და დააფინანსებს ქართული უნივერსიტეტის სტუდენტების სწავლას ჩინეთში.

დიპლომატიური ოსტატობის მასტერკლასი ქართულ უნივერსიტეტში

15 ოქტომბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის სხდომათა დარბაზში საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, საერთაშორისო სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორმა **ირაკლი მენაღარიშვილმა** ჩაატარა დიპლომატიური ოსტატობის მასტერკლასი საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის.

შეხვედრა გახსნა და სტუმარი დამსწრეთ წარუდგინა ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ, რექტორმა, პროფესორმა **სერგო ვარდოსანიძემ**.

ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა თავის გამოსვლაში მოკლედ მიმოიხილა მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღევანდელი პრიორიტეტები. ისაუბრა იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დგას დღევანდელი საქართველო.

სტუდენტებმა დიდი ინტერესით მოისმინეს სტუმრის გამოსვლა, შეხვედრა ინტერაქტივის რეჟიმში წარიმართა. ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა კმაყოფილება გამოთქვა სტუდენტებთან შეხვედრის გამო და დადებითად შეაფასა მათი აქტიურობა.

ქართული უნივერისტეტის სტუდენტების მორიგი წარმატება!

2015 წლის 21 – 26 სექტემბერს ბულგარეთში საკურორტო კომპლექს კამჩიაში, რომელიც მდებარეობს 25 კილომეტრში ქ.ვარნადან, გაიმართა რიგით მე-4 ევროპული სტუდენტური ფესტივალი სახელწოდებით „მეგობრებო, მშვენიერია ჩვენი კავშირი!"

ფესტივალი ორგანიზებული იყო ფონდ „РУССКИЙ МИР"- ისა და „ბულგარეთის მდგრადი განვითარების" ფონდის მიერ.

ფესტივალზე მონაწილეობას იღებდა ევროპის 15 ქვეყნის ყველაზე პრესტიჟული 30 უნივერსიტეტის 300 სტუდენტი, რომლებიც სწავლობენ რუსულს როგორც უცხო ენას. აღსანიშნავია, რომ საქართველო ამ ფესტივალზე პირველად იღებდა მონაწილეობას.

ჩვენი უნივერისიტეტიდან ფესტივალში მონაწილეობდა 9 სტუდენტი, რომელებიც რუსულ ენას ფლობენ B 1 დონეზე. ესენი არიან: თამარ გაბაშვილი, ცოტნე გვილია, ნინო დვალიძე, ალექსანდრე ჯორჯიკია, თემურ კვიცაშვილი, ნანა კეზუა, ლიკა ლობჟანიძე, სალომე პაკელიანი, ბესო ჭუმბურიძე. ჯგუფს ხელმძღვანელობდა რუსული ენის პედაგოგი, პროფესორი ირინე კაპანაძე.

ფესტივალის პროგრამა მოიცავდა კონკურსებს, ვიქტორინებს, პრეზენტაციებს , შემოქმედებით მასტერ-კლასებს , მუსიკალურ და პოეტურ საღამოებს, ექსკურსიებს. ჩატარდა სპორტული ღონისძიებები, ტურნირები მაგიდის ჩოგბურთსა და ცურვაში. მოეწყო ძალიან საინტერესო ექსკურსია ბულგარეთის საპორტო დედაქალაქ ვარნაში.

აღსანიშნავი იყო ჩვენი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მულტიმედიური პრეზენტაცია, რომელმაც ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. კონკურსის წესების თანახმად ჩვენ გავაცანით ევროპელ სტუდენტებს ჩვენი ქვეყანა, ქართული კულტურა, ხელოვნება, ტრადიციები, სამზარეულო, ისტორიული ძეგლები, ჩვენი დედაქალაქი და ქართული უნივერსიტეტი.

მეორე მულტიმედიურ პრეზენტაციაზე ჩვენ წავიკითხეთ რუსი პოეტების ლექსები საქართველოზე.

ჟიურის განსაკუთრებული მოწონება და დარბაზის აღფრთოვანება დაიმსახურა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტის ნინო დვალიძის მიერ შესრულებულმა ორმა საკონკურსო სიმღერამ.

ჯგუფის დაუღალავმა მუშაობამ და მონდომებამ თავისი შედეგი გამოიღო. გუნდმა 4 დამსახურებული დიპლომი მიიღო.

ორი მულტიმედიური პრეზენტაციის წარდგენისა და ორი საკონკურსო სიმღერის შესრულების შედაგად, ჩვენი ჯგუფი ფესტივალზე მონაწილე 15 ქვეყანასა და 30 უნივერსიტეტს შორის გავიდა მე-4 ადგილზე და დაჯილდოვდა დიპლომით.

სპეციალური დიპლომი ჯგუფმა აგრეთვე მიიღო აქტიური მონაწილეობისათვის მე-4 ევროპულ სტუდენტურ ფესტივალში „მეგობრებო, მშვენიერია ჩვენი კავშირი!“.

ვოკალურ კონკურსში გამარჯვებისთვის დიპლომით დაჯილდოვდა ნინო დვალიძე.

სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა ჯგუფის ხელმღვანელი, პროფესორი ირინე კაპანაძე პირადი ღვაწლისათვის ფესტივალის მომზადებასა და ჩატარაბაში.

ამ ფესტივალზე მოგვეცა საშუალება გამოგვევლინა რუსული ენისა და ლიტერატურის ცოდნა და ჩვენი ზოგადი განათლება.

კამჩიაში შავი ზღვის სანაპიროზე გავატარეთ 5 დაუვიწყარი დღე, შევიძინეთ ახალი მეგობრები და წარმატებასთან ერთად უამრავი კარგი მოგონება ჩამოვიტანეთ. აქტიურ მუშაობასთან ერთად ახალგაზრდებს ჰქონდათ დასვენებისა და გართობის საშუალება, რაშიც ხელს უწყობდნენ ორგანიზატორები ყოველ საღამოს სხვადასხვა სახის გასართობ საღამოების მოწყობით.

და ბოლოს, არ შეგვიძლია არ გამოვხატოთ მადლიერება ქართული უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ სერგო ვარდოსანიძისა და კანცლერის ბატონ თამაზ ვაჩაძის მიმართ. მადლობა მათ გვერდში დგომისა და ხელშეწყობისთვის. გვჯერა, რომ კიდევ მრავალჯერ ვასახელებთ ჩვენს უნივერსიტეტს.

იაპონური კულტურის ფესტივალი ქართულ უნივერსიტეტში

29 ოქტომბერს საქართველოს საპატრიაქროს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში იაპონური კულტურის ფესტივალი გაიმართა. იაპონიის საელჩოს ორგანიზებით და მხარდაჭერით ქართულ უნივერსიტეტს იაპონელ ხელოვანთა ჯგუფი ესტუმრა, რომლებმაც თავიანთი ეროვნული მუსიკითა და ცეკვებით მოხიბლეს დამსწრე საზოგადოება. იაპონური კულტურის ფესტივალს უცხოელი სტუმრების გარდა ესწრებოდა იაპონიის საელჩოს კულტურის ატაშე საქართველოში ბ-ნი ნორიჰიკო ნაკაჯიმა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ლანჯოუს (ჩინეთი) უნივერსიტეტთან

2015 წლის 10 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტსა და ლანჯოუს უნივერსიტეტს შორის გაფორმდა პარტნიორული თანამშრომლობის მემორანდუმი,რომელსაც ხელი მოაწერეს ქართული უნივერსიტეტის რექტორმა,პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ და ლანჯოუს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა,პროფესორმა პან ბაოტიენმა.

მემორანდუმი მიზნად ისახავს უნივერსიტეტებს შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარების,სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლითი პროგრამების,ჩინური ენის კურსებზე სტუდენტების ყოველწლიურად გაგზავნის,ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების, აბრეშუმის გზის პროექტის ფარგლებში ერთობლივი კვლევების ჩატარების, ქართულ უნივერსიტეტში კონფუცის კლასის გახსნისა და ორივე უნივერსიტეტისათვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

2015 წლის 10 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტსა და ლანჯოუს უნივერსიტეტს შორის გაფორმდა პარტნიორული თანამშრომლობის მემორანდუმი,რომელსაც ხელი მოაწერეს ქართული უნივერსიტეტის რექტორმა,პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ და ლანჯოუს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა,პროფესორმა პან ბაოტიენმა.

მემორანდუმი მიზნად ისახავს უნივერსიტეტებს შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარების,სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლითი პროგრამების,ჩინური ენის კურსებზე სტუდენტების ყოველწლიურად გაგზავნის,ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების

განხორციელების, აბრეშუმის გზის პროექტის ფარგლებში ერთობლივი კვლევების ჩატარების, ქართულ უნივერსიტეტში კონფუცის კლასის გახსნისა და ორივე უნივერსიტეტისათვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.



საჯარო ლექცია თემაზე: „ჩინეთის ტრანსფორმაცია 21-ე საუკუნეში"

2015 წლის 16 ნოემბერს, ქართული უნივერსიტეტის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის სხდომათა დარბაზში აღმოსავლეთმცოდნემ, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორმა, ქართული უნივერსიტეტის მოწვეულმა პროფესორმა არჩილ კალანდიამ საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის წაიკითხა საჯარო ლექცია თანამედროვე ჩინეთის შესახებ.

არჩილ კალანდია სტუდენტებს წარუდგინა და ჩინეთის შესახებ მოკლე ინფორმაცია გააცნო ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ პროფესორმა ვახტანგ გურულმა.

მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა თანამედროვე მსოფლიოში ჩინეთის გლობალურ როლსა და მნიშვნელობაზე, "ახალი აბრეშუმის გზის პროექტზე", იმ გამოწვევების და სარგებელის შესახებ რომელიც საქართველოს ელის ამ პროექტში მონაწილეობისას. ასევე საქართველო-ჩინეთის ორმხრივი ურთიერთობების შესახებ.

საინტერესო ლექციის გარდა არჩილ კალანდიამ წარმოადგინა თავისი მონოგრაფია, რომელშიც ასახულია მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციისა და თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე სწრაფად განვითარებადი სახელმწიფოს მიღწევები და სამომავლო გეგმები, რაც 21-ე საუკუნეში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე.

აღსანიშნავია, რომ არჩილ კალანდია წლების განმავლობაში მოღვაწეობდა საქართველოს საელჩოში. კარგად იცნობს თანამედროვე ჩინეთის კულტურას, ენას, ტრადიციებს, მმართველობით სისტემას, საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ამიტომ უშუალოდ პირველ წყაროებზე დაფუძნებულმა მასალებმა გაამდიდრა და საინტერესო გახადა აღნიშნული მონოგრაფია.

საჯარო ლექციამ და წიგნის პრეზენტაციამ სტუდენტებსა და დამსწრე საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

დიპლომატიური ოსტატობის მასტერკლასი ქართულ უნივერსიტეტში

12 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის სხდომათა დარბაზში საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, საერთაშორისო სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორმა **ირაკლი მენაღარიშვილმა** ჩაატარა დიპლომატიური ოსტატობის მასტერკლასი საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის.

სტუდენტებმა დიდი ინტერესით მოისმინეს სტუმრის გამოსვლა, შეხვედრა ინტერაქტივის რეჟიმში წარიმართა. ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა კმაყოფილება გამოთქვა სტუდენტებთან შეხვედრის გამო და დადებითად შეაფასა მათი აქტიურობა

სტუდენტების ინიციატივით განისაზღვრა მომდევნო შეხვედრის თემები, რომლის გარშემოც გაიმართება დისკუსია.

თურქეთის რესპუბლიკის ელჩის ვიზიტი ქართულ უნივერსიტეტში

24 ნოემბერი, 2015

24 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, მისი აღმატებულებას, ბატონ ზექი ლევენთ გუმრუქჩუს უმასპინძლა.
შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა ქართულ უნივერსიტეტსა და თურქეთის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის წამოწყებას სტუდენტებისათვის გაცვლითი პროგრამების ამოქმედების სახით.
შეხვედრას ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ.

,ჩინური ენის ხიდი''

17 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში "ჩინური ენის ხიდის'' წლევანდელი კონკურსის მეორე ადგილის მფლობელმა, საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის II კურსის სტუდენტმა, ქეთევან ყარანაშვილმა, ამავე სპეციალობის I კურსის სტუდენტებს გააცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 15 დღიანი მოგზაურობის შედეგები და ემოციები.

ქეთევანმა ისაუბრა ჩინური ენის, კულტურის, ტრადიციების, მათი საქმიანობისა და მიზნების შესახებ, რაც დაფუძნებულია მათსავე შრომისმოყვარეობაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ მომავალ ,,ჩინური ენის ხიდის'' კონკურსში (რომელიც 2016 წლის მაისში გაიმართება), გამარჯვების შესაძლებლობა ყველა სტუდენტს გააჩნია და დახმარებაც აღუთქვა მათ. მთავარი კი მონდომება და შრომისმოყვარეობაა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩატარდა. სტუდენტებმა მრავალი შეკითხვა დაუსვეს სტუმარს, რომელმაც მომავალ კონკურსანტებს წარმატებები უსურვა. თავის მხრივ, პირველკურსელებმა მადლობა მოახსენეს ქეთევანს საინტერესო საუბრისა და კეთილი სურვილებისათვის.

შეხვედრა საქართველოში ჩინური კომპანიის „ჰუალინგ ჯგუფის“ გენერალურ დირექტორთან

2015 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის სააქტო დარბაზში გაიმართა შეხვედრა საქართველოში უმსხვილესი ჩინური კომპანიის **„ჰუალინგ ჯგუფის“** გენერალურ დირექტორთან, ბატონ **ვანგ შენგსინთან**.

საპატიო სტუმარს მიესალმა და დიდი მადლობა მოახსენა სტუმრობისათვის ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ავთანდილ კიკნაძემ**.
ბატონმა ავთანდილ კიკნაძემ სტუმარს დაწვრილებით უამბო ქართული უნივერსიტეტის შექმნის, განვითარებისა და მომავალი პერსპექტივების, ჩვენს უნივერსიტეტში ჩინური ენის სწავლების შესახებ. ბატონმა ვანგ შენგსინმა

საინტერესოდ მიიჩნია ის პროექტები, რომლებიც ქართულ უნივერსიტეტში ხორციელდება ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციისთვის და სრული მზადოფნა გამოთქვა მხარდაჭერისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისთვის. ასევე სტუდენტებს დაპირდა, რომ მომავალ სემესტრში საჯარო ლექციას ჩაუტარებს ჩინეთის ეკონომიკის შესახებ და „ჰუალინგ ჯგუფის" კომპანიაში პრაქტიკის გავლაშიც დაეხმარება მათ.
დამსწრე საზოგადოებას საქართველოში ყველაზე დიდი ჩინური, საინვესტიციო კომპანიის არსებულ და სამომავლო პროექტებზე პრეზენტაციები წარუდგინეს „ჰუალინგ ჯგუფის" კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ შიშინაშვილმა** და ქუთაისში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის აღმასრულებელმა დირექტორმა, ბატონმა **სოსო ნიბლაძემ**. სტუდენტებმა ყურადღებით მოუსმინეს სტუმრებს, ბევრი ახალი ინფორმაცია მიიღეს „ჰუალინგ ჯგუფის" კომპანიის საქმიანობის და მომავალი გეგმების შესახებ და მრავალი საინტერესო შეკითხვები დაუსვეს მათ.
შეხვედრაში აქტიური მონაწილეობა მიიღო და რამოდენიმე საინტერესო წინადადება დააყენა ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლის დეკანმა, პროფესორმა **ვახტანგ სართანიამ**. საქმიანი შეხვედრა მეტად ნაყოფიერი და საინტერესო გამოდგა.

მორიგი დიპლომატიური ოსტატობის მასტერკლასი ქართულ უნივერსიტეტში

2015 წლის 10 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის სხდომათა დარბაზში საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, საერთაშორისო სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორმა ირაკლი მენაღარიშვილმა საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის მორიგი დიპლომატიური ოსტატობის მასტერკლასი ჩაატარა.

ახდენილი ოცნება

ასე იყო ყოველთვის, მთელი ცხოვრებისეული ემოციური მომენტები კადრებად დამსდევდნენ გამუდმებით და სულ არაფერი მრჩებოდა მათზე უფრო ფასეული. მერე მინდოდა ვინმეს ზუსტად ისე გაეთავისებინა ჩემი გრძნობები, როგორც მე, მეტ-ნაკლებად ვახერხებდი კიდეც. განსაკუთრებით ისეთი ფაქტები მიყვარდა, უკეთესობისკენ რომ ცვლიდნენ ყველაფერს, ბედნიერებისგან თავბრუს რომ გახვევდნენ და მოდუნების საშუალებას არ გაძლევდნენ. ხოდა, ასე იყო ჩემი უნივერსიტეტში მოსვლაც, ერთ დღესაც მივხვდი, რომ უბრალოდ გამიმართლა. არაფერი განსაკუთრებული, რიგითი სტუდენტი ვიყავი მაშინაც და ახლაც, უბრალოდ, ერთი განსხვავება შევნიშნე - უცებ სიგიჟემდე შევიყვარე თავისი ავკარგიანობით, არანაირი პროტესტი და საწინააღმდეგო აზრი აღარ მქონდა (ცუდად არ გაიგოს არავინ, უბრალოდ, ხომ იცით, არაფერია იდეალური, და თვალიც ისარივითაა, კრიტიკულ ადგილებში იცის ჩაკირკიტება). ან რა უნდა განმეკითხა ადგილას, რომლის ფანჯრებთანაც ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დღეები იწყება და მისივე საფეხურებთან სრულდება, იქ, სადაც მზე იატაკქვეშეთს ატანს და ხვდები, რომ ამ სინათლეში ყველა ცდილობს პატარ-პატარა კიბეებით მიგაახლოვოს მიზანს,

რომლისთვისაც მათ შეუსახლდი, და მაშინ ხვდები, მისამართი არ შეგშლია. მოდით, ასე ვიტყვი, ინტრიგანი თუ არ ხარ ადამიანი, რაღაცეების შეფასება და დაფასება უნდა შეძლო - ზრდასრულმა მითუმეტეს, ჰოდა, მეც ვინამუსე.

ალბათ, ვინც მიცნობს, კარგად იცის, რომ მეწერება გამუდმებით, მეწერება ყველაფერზე, წერაც ბრჭყალებში, როგორ არაგრამატიკულადაც ვფიქრობ, ისე ვწერ, ჩემი მძიმე ყოველთვის იქ არის, სადაც მე ვჩერდები, ის კი არა, წერტილსაც შეიძლება წააწყდეთ "და" კავშირის წინ, რა ვქნა, ფურცელთან, რომელიც ჩემ გარდა, სულ არავის სჭირდებოდა, ყოველთვის თავისუფალი ვიყავი. ჰოდა, მინდოდა მთელი ჩემი შთაბეჭდილებები "ქართულ უნივერსიტეტზე", ერთხელ პატარა ჩანახატად გადმომეცა, გაგიკვირდებათ და, ვერასდროს მოვახერხე, სულ ვფიქრობდი, რომ ისე ვერ დავახასიათებდი, როგორც ეკადრებოდა. მოკლედ, ან ყველაფერი მინდოდა, ან არაფერი. აი, სათქმელი კი ნამდვილად ბევრი მქონდა. ადრეც მითქვამს და ხშირად ვიმეორებ, ჭკვიან, მშვიდ, გაწონასწორებულ ხალხთან მიყვარს ურთიერთობა და მათგან ბევრის სწავლა-მეთქი. ჯერ მარტო ამიტომ ვარ ბედნიერი, რომ ყოველდღე ამის საშუალება მაქვს. უტაქტობა იქნება ჩემი მხრიდან მათი დასახელება, მაგრამ მოვა დრო და ძალიან, ძალიან დიდ მადლობას ვეტყვი მათ იმიტომ, რომ არიან ისეთები, როგორებიც არიან. ყველაზე ამაყი იცით, როდის ვარ? როცა ვხვდები, რომ საგნებს კი არა, ცხოვრებას გავდივარ პრაქტიკულად. როგორ აგიხსნათ, რომ სანგუში გატარებული ყოველი დღე, ყოველი მოქმედება, წარმატება თუ მარცხი გამოცდილებაა და საერთოდ, კრახი არ არსებობს, სანამ ერთსულოვნება ცოცხლობს აუხსნელი!

ბოლო დროს კიდევ ერთ რამეს მივხვდი, განვითარებული, პერსპექტიული უნივერსიტეტი, საკუთარ რადიკალს გაჩვენებს და გაიძულებს, მთელი შენი ზნეობა და მორალი გვერდზე გადადო (კარგი გაგებით) საჭირო დროს, საკუთარივე მისწრაფების განხორციელებისთვის და ამ დროს იზრდები! ყველაზე დიდ ნაბიჯს დგამ და ხვდები, რომ ერთი საფეხურით მაღლა დგახარ სხვებთან შედარებით, მეტი ამბიცია მოდის (ჯანსაღი), გეცვლება მიმიკები, მანერები, თვალი იცვლება, მერე ძლიერდები იმიტომ, რომ, როგორც კი სისუსტეს შეგამჩნევენ, გადაგივლიან - ბუნების კანონია! და ყველაზე კარგი შეგრძნება - როცა აცნობიერებ, რომ მწვერვალამდე ბევრი გაკლია და ჯერ ძალიან "მცირე" ხარ იმ ადამიანებთან, რომლებიც "გზრდიან". მერე დისტანცია მოდის, რაც უფრო აფასებ პიროვნებას, მეტად მოკრძალებული ხარ მის მიმართ, ასე მოდის ჯანსაღი ურთიერთობები "სანგუში", რომელიც, გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ "ყველას სახლია"... ანუ შევიყვარე ჯანსაღი კონკურენცია, რომელიც მთელი სიცხადით, აშკარად ფეთქავს, შევიყვარე ყოველი დღე, რომელიც სანგუში ლევს წუთებს, შევიყვარე მეგობრები და ადამიანები, რომელთაც ყოველდღე ვხედავ, შევიყვარე ეზო, რომელიც ზაფხულში განსაკუთრებით არ ჩუმდება, სიცოცხლე ფეთქავს და როგორ საოცრად!!! ვეღარ ვძლებ ჭიქა ყავის გარეშე, ლექციიდან ლექციამდე ყველაფრად რომ გიღირს, უკვე ძალიან დაღლილს, და როგორც არ უნდა მაწუწუნოს სიზარმაცემ, გონებაში ზოლად გასდევს ხოლმე ყოველ სიტყვას "ესეც რა ტკბილია ჩვენთან". სათქმელი რომ შევამოკლო, ერთთვიანი არდადეგები, რომელიც 10 დღით ადრე ვიგლოვე, ნელ-ნელა დღეებს ითვლის. ახლა მეტი დრო გამიჩნდა მეგობრებისთვის, საკუთარი თავისთვის, ოჯახისთვის, ძილისთვის, ფიქრისთვის და ა.შ, მაგრამ რა გითხრათ, არაფერია იმაზე ტკბილი, ვიდრე შრომით დაღლილი დღე... კიდევ ერთი! ვინც არ უნდა იფიქროს, რომ ჩემთვის ყველაფერი "ნათელია" და უარყოფით მხარეებს ვერ ვამჩნევ, კიდევ ერთხელ ვუპასუხებ: "არაფერია იდეალური"... მთავარი შედეგია!

და ბოლოს, სადაც არ უნდა წავიდე, ყველაზე ამაყი, ყველაზე კმაყოფილი, ხმამაღლა ვიტყვი, რომ რევანშია, მეგობრებო, ის, რომ მე დღეს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტუდენტი მქვია, რევანში!.. რადგან სწორედ აქ იციან, რა ძალა აქვს ერთსულოვნებას, რა სუნი აქვს მეგობრობას, და რა ფერი აქვს სინათლეს!!!

თათა ქუტიძე-საერთაშორისო ურთიერთობების და რეგიონალური პროცესების მიმართულების I კურსის სტუდენტი

სასიხარულო ინფორმაცია

როგორც მოგეხსენებათ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსთან. ამ თანამშრომლობის შედეგი იყო 2015-2016 სასწავლო წელს უნივერსტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საერთაშორისო ურთიერთიბებისა და რეგიონალური პროცესების II კურსის ორი სტუდენტის - მარიამ ანთაძისა და საბა ხაზალიას ერთი წლით ჟილინის უნივერსიტეტში გაგზავნა.

2015 წლის აგვისტოში ჩინეთში, ლანჯოუს უნივერსიტეტთან გაფორმდა ორი უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ქართულ უნივერსიტეტში შეიქმნა კონფუცის სკოლა. ახლა მივიღეთ სასიხარულო ინფორმაცია - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო საქართველოში გამოხატავს დიდ პატივისცემას საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიმართ და აქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი:

ქართულმა უნივერსიტეტმა ძალიან დიდი ყურადღება გამოიჩინა ჩინეთის სასწავლო პროგრამის მიმართ და მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართულ-ჩინური საგანმანათლებლო თანამშრომლობის სივრცე, ასევე მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებასაც.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად გავაღვივოთ ჩინური ენის სწავლების ინტერესი სტუდენტებში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩომ საქართველოში გადაწყვიტა უზრუნველყოს კიდევ ერთი სტიპენდია და დააფინანსოს ქართული უნივერსიტეტის ერთი სტუდენტის სწავლება ჩინეთში.

კონფუცის ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელი სტუმრად ქართულ უნივერსიტეტში



2016 წლის 9 ივნისს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მიიღო კონფუცის ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელი პროფესორი ჩე რუშანი და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის, ქართული უნივერსიტეტის ჩინური ენის მასწავლებელი ლიანგ კონგი,შეხვედრაზე ისაუბრეს ქართულ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალობაზე, ჩინური ენის შესწავლის პერსპექტივებზე და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩინური ენის შესასწავლად გასაგზავნ სტუდენტებზე. დაიგეგმა ლანჯოუს უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი ქართულ უნივერსიტეტში, რომელიც გაიმართება 23 ივნისს. დელეგაციის შემადგენლობა ასეთია: პროფესორი სია ძიენჰუი-კონფუცის ინსტიტუტის სათაო ოფისის დირექტორის მოადგილე, პროფესორი შაო სიუბო-აზიის მხარის დირექტორი, პროფესორი ლი ჩანი-კონფუცის ინსტიტუტის აღმასრულებელი მოხელე, პროფესორი ფან ბაოთიენი-ლანჯოუს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი თაო ჰონგი-ლანჯოუს უნივერსიტეტის საერთაშორისო სკოლის დირექტორის მოადგილე.

დიპლომატიური ოსტატობის მასტერკლასი ქართულ უნივერსიტეტში

2016 წლის 14 ივნისს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის სხდომათა დარბაზში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების საკითხებში, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბატონმა ზურაბ აბაშიძემ ჩაატარა დიპლომატიური ოსტატობის მასტერკლასი საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის.

შეხვედრა გახსნა და სტუმარს მიესალმა ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**, რომელმაც სტუდენტებს მოუთხრო სტუმრის პროფესიული მოღვაწეობის და დამსახურებების შესახებ.
ბატონმა ზურაბ აბაშიძემ თავის გამოსვლაში მოკლედ მიმოიხილა მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღევანდელი პრიორიტეტები. ისაუბრა იმ გამოწვევების შესახებ, რომლის წინაშეც დგას დღევანდელი საქართველო. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, განმარტა აბაშიძე-კარასინის ფორმატის არსი და მისი მნიშვნელობა.

სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა დიდი ინტერესით მოისმინეს სტუმრის გამოსვლა და ბევრი საინტერესო შეკითხვაც დაუსვეს, რომლებზეც მიიღეს ამომწურავი პასუხები.

შეხვედრა ძალზედ საინტერესოდ წარიმართა. ბატონმა ზურაბ აბაშიძემ კმაყოფილება გამოთქვა სტუდენტებთან შეხვედრის გამო და დადებითად შეაფასა მათი აქტიურობა.

დასასრულს ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მადლობა გადაუხადა ბატონ ზურაბ აბაშიძეს მობრძანებისთვის, საინტერესო მასტერკლასის ჩატარებისთვის და სამახსოვროდ საეკლესიო ენციკლოპედია გადასცა.

ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში

12 ივნისს, სპორტის აკადემიის სტადიონზე სტუდენტების ინიციატივით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შორის ჩატარდა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. თამაში საინტერესო გამოდგა და დამთავრდა პროფესორ-მასწავლებელთა გუნდის გამარჯვებით 10:8. ორივე გუნდს საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა, ისინი აქტიურად ქომაგობნენ მოთამაშეებს.

2016-2017 სასწავლო წელი

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. ქართული უნივერსიტეტი გილოცავთ ,ძვირფასო სტუდენტებო,მშობლებო და პროფესორ-მასწავლებლებო,გისურვებთ მხნეობასა და წარმატებულ მომავალს! განათლება უძვირფასესი განძია და დაუღალავად გვეშრომოს ამ განძის მოსაპოვებლად!ქართულმა უნივერსიტეტმა სიხარულით აღნიშანა ახალი **2016-2017** სასწავლო წლის დაწყება.უნივერსიტეტის რექტორმა,პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ სტუდენტებს და კოლეგებს,განსაკუთრებითკი,ჩვენს პირველკურსელებს დიდი სიყვარულით მიულოცა ეს დღესასწაული. ამ დღეს უნივერსიტეტს სტუმრობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი ალექსანდრე ჯეჯელავა. ქართული უნივერსიტეტიკიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!

ქართულ უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი დაიწყო!

19 სექტემბერი,2016

2016 წლის **19** სექტემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი დაიწყო.

ქართული უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა საზეიმო შეხვედრა, რომელიც გახსნა და ახალი სასწავლო წლის დაწყება სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს მიულოცა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ, სტუდენტებს სიტყვით მიმართეს: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, ქართული უნივერსიტეტის პროფესორმა როინ მეტრეველმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, ქართული უნივერსიტეტის პროფესორმა გიორგი ალიბეგაშვილმა, აკადემიკოსმა შალვა ამონაშვილმა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ვახტანგ სართანიამ, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დიმიტრი ნადირაშვილმა, ინფორმატიკის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ივანე წერეთელმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, პროფესორმა ლევან ჯიქიამ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა თამაზ ვაჩაძემ, სტუდენტებმა: გიორგი კახაძემ, გიორგი ჩუბინიძემ, ვაჟა ხეცურიანმა, ნინო დვალიძემ...

ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება დაუვიწყარი კონცერტით მიულოცა თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრმა **"Big Band"**-მა. უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მადლობა მოახსენა მათ და უნივერსიტეტის სახელით ანსაბლის წევრებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

მოგვიანებით საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს ეწვია და ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ბატონმა ალექსანდრე ჯეჯელავამ. ბატონმა მინისტრმა რექტორთან და კანცლერთან ერთად დაათვალიერა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, კაბინეტ-ლაბორატორიები, ესაუბრა ფსიქოლოგიის და სოციალურ მეცნიერებათა; ინფორმატიკის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა; ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტების დეკანებსა და სტუდენტებს, შემდეგ რექტორის კაბინეტში შეხვდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრებს, სადაც გაიმართა საქმიანი მსჯელობა განათლების აქტუალურ პრობლემებზე.

დასასრულს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მადლობა მოახსენა ბატონ მინისტრს უნივერსიტეტში მობრძანებისათვის.

შეხვედრა პირველკურსელებთან

19 სექტემბერი,2016

19 სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გამართულ საუნივერსიტეტო ღონისძიების შემდეგ ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ავთანდილ კიკნაძემ პირველკურსელებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა. სტუდენტებს დეტალურად გააცნეს საგანმანათლებლო პროგრამა, მისი სპეციფიკა, უცხო ენების არჩევის პრინციპები. სტუდენტებს ჩინური და იაპონური ენების და ამ ქვეყნების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს პედაგოგებმა ნინო ტეტუნაშვილმა და ლიზი მარკოიშვილმა. ასევე, სტუდენტებმა, რომლებიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა პროგრამებით იმყოფებოდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა და ძალზე საინტერესოდ ჩატარდა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლის დელეგაცია ქართულ უნივერსიტეტში

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს ეწვივნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლის დელეგაცია: აზიის მხარის დირექტორი, ქალბატონი შაო სიუბო, კონფუცის ინსტიტუტის სათაო ოფისის დირექტორის მოადგილე, ბატონი სია ძიენჰუი, კონფუცის ინსტიტუტის აღმასრულებელი ხელმძღვანელი, ქალბატონი ლი ჩანი, ლანჯოუს უნივერსიტეტის პროორექტორი ფან ბაოთიენი, ლანჯოუს უნივერსიტეტის საერთაშორისო

სკოლის დირექტორის მოადგილე, ქალბატონი თაო ჰონგი, კონფუცის ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელი ბატონი ჩი რუშანი.

სტუმრებმა დაათვალიერეს ჩინური კულტურის შემსწავლელი კაბინეტი, დაესწრნენ უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის და რეგიონმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტთა მიერ მომზადებულ კონცერტს და ჩინური ენის გაკვეთილს.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა და იმედი გამოთქვა, მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება იმ სტუდენტების რიცხვი, რომელნიც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გაემგზავრებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩინური ენის შესასწავლად.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტების კიდევ ერთი წარმატება

საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსა და თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსიტუტის ორგანიზებით, თავისუფალი უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კამპუსში გაიმართა საერთაშორისო სტუდენტური კონკურსის "ჩინური ენის ხიდის" შესარჩევი ტური საქართველოში.

კონკურსი მიზნად ისახავს საქართველოში ჩინური ენის შესწავლის ხელშეწყობასა და საქართველო-ჩინეთს შორის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებას. კონკურსს ესწრებოდნენ საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლები. საქართველოს სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან ერთად კონკურსში მონაწილეობდნენ ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ქეთი ყარანაშვილი და ნინი ასანიძე, რომლებიც ჩინურ ენას ეუფლებიან ჩვენს უნივერსიტეტში. კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდა და ძალზე საინტერესო იყო. სტუდენტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩინური ენის ცოდნასა და თავიანთ შემოქმედებაში. კონკურსის ჟიურიმ, რომელიც საქართველოში ჩინეთის საელჩოს თანამშრომლებით და ჩინური ენის სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული ცხარე კამათის შედეგად გამოავლინა კონკურსის გამარჯვებულები. როგორც შარშან, ასევე წელსაც მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ქეთევან ყარანაშვილმა, რომელმაც მობილურ ტელეფონთან ერთად მოიპოვა სპეციალური პრიზი - 10 დღიანი უფასო საგზური ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ნინი ასანიძემ, რაც პირველი კურსის სტუდენტისთვის საკმაოდ მაღალი შედეგია.

პარალერულად ჩატარდა საქართველოში კონფუცის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ესეების სტუდენტური კონკურსი. სტუდენტებმა წარმოადგინეს ესეები ჩინეთის შესახებ. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობდნენ ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები. თათა ქუტიძემ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა და ფასიან საჩუქართან ერთად შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატი მოიპოვა. მარიამ ჟამუტაშვილმა და ნინი ასანიძემ წამახალისებელი პრიზები და სერთიფიკატები მოიპოვეს. თამარ გიგაშვილი, ნინო კირკიტაძე,

ნანა ზარანდია და მარიამ ხინთიბიძე მონაწილეობდნენ კულტურულ პროგრამაში და ასრულებდნენ ჩინურ ცეკვას.

გულითადად ვულოცავთ ამ დიდ წარმატებას ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებს და მათ პედაგოგებს სალომე სადუნიშვილს, თამარ მუჯირს და ჩინელ მოხალისე პედაგოგს ლიან ქუნ ქუნს. ეს უკვე ქართული უნივერსიტეტის სტუდენტების მეორე დიდი გამარჯვებაა, რომლებიც ორი წელია რაც ჩინურ ენას ეუფლებიან.
შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ საქართველოში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მიერ ჩატარებულ კონკურსში, ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა სოფო სირაძემ გრანტი მოიპოვა და მიიღო ერთ წლიანი სტიპენდია. 2016-2017 სასწავლო წელს, სექტემბრიდან ის სწავლას აგრძელებს ჩინეთში ლანჯოუს პრესტიჟულ უნივერსიტეტში.

"ჩინური ენის ხიდის" კონკურსის გამარჯვებული ქეთევან ყარანაშვილი: „ჩემი ჩინური ოცნება" სწორედ ამ თემის მოყოლა მიწევდა ჩინური ენის ხიდის შესარჩევ ტურზე და დღეს უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ ეს ოცნება მეორედ ამიხდა.
ჩინური ენის ხიდი ტარდება ყოველ წელიწადს, რაც სტუდენტებს შანსს აძლევს პირველ და მეორე ადგილზე გასულები გაემგზავრონ ჩინეთში. სწორედ ამ კონკურსში გამარჯვების შემდეგ შარშან ზაფხულში ვიმყოფებოდი ჩინეთში,რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.როდესაც ჩინური ენის სწავლა დავიწყე ჩინეთში გამგზავრება ჩემი ერთ-ერთ ოცნება გახდა და მიხარია, რომ ოცნება სულ მალე რეალობად იქცა.

დღეს უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგანაც სწორედ ამ კონკურსში ავიღე მეორე საპრიზო ადგილი და ჩინეთში გავემგზავრე 10 დღით. ვთვლი, რომ ასე მოკლე დროში ეს ჩვენი ყველას დიდი ერთობლივი წარმატებაა. ყველას უღრმეს მადლობას ვუხდი, განსაკუთრებით კი ჩვენს ლექტორებს სალომე სადუნიშვილს და ლიან ქუნ ქუნს, რადგანაც მათ მართლა ყველაფერი გააკეთეს ჩემი წარმატებისათვის. ემოციებიც უდიდესი იყო ვფიქრობ მისი სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. დღევანდელი დღე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. მიხარია, რომ ვსწავლობ ჩინურს. ყველა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტს, რომელიც ასევე სწავლობს ჩინურ ენას ვუსურვებ დიდ წარმატებას.

荣誉证书

სერტიფიკატი

FREE UNIVERSITY

facebook.com/FreeUni
თავისუფალი უნივერსიტეტი
კახა ბენდუქიძის
საუნივერსიტეტო კამპუსი
აგრარული უნივერსიტეტი
facebook.com/NewAgrUni

ჩვენი მიმართულების სტუდენტების შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან

8 სექტემბერი,2016

8 სექტემბერს დაიწყო ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს რიგით მეოთხე ვიზიტი საქართველოში. ეს ვიზიტი ალიანსის საქართველოსადმი პოლიტიკური მხარდაჭერის და პრაქტიკული თანამშრომლობის დინამიკური განვითარების მნიშვნელოვანი გზავნილი გახლავთ. საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას და ალიანსში გაწევრიანების კურსს. ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეხვდა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს, მათ შორის იყვნენ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტები: თათული ხუნტუა, ლევან თაღიაშვილი, გიორგი გაბრიჩიძე და ნინო ბაბუციძე. შეხვედრა გაიმართა დიალოგის რეჟიმში. ჩვენმა სტუდენტებმა დაუსვეს შეკითხვები ბატონ გენერალურ მდივანს და აღნიშნეს, რომ გენერალური მდივნის გამოსვლა იყო ძალიან საინტერესო და ინფორმაციული. ბატონმა გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ნატოს მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი და ასევე მხარი დაუჭირა საქართველოს სუვერენიტეტს. ნატოსა და საქართველოს აქვთ განსაკუთრებული ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა და მჭიდრო პარტნიორობა, რომელიც სულ უფრო მტკიცე ხდება. იმედია ეს მტკიცე პარტნიორობა მალე ახალ ფაზაში გადავა და საქართველო გახდება ალიანსის წევრი, რუსეთს არ აქვს ვეტოს უფლება და საქართველოს ორგანიზაციაში გაწევრიანება ნატოს **28** წევრისა და საქართველოს ნებაზეა დამოკიდებული, აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

შეხვედრა კონფუცის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან
21 სექტემბერი,2016

2016 წლის **21** სექტემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე შეხვდა საქართველოში კონფუცის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს პროფესორ ჩი რუშანს და ჩინური ენის პრაქტიკული კურსის ახალგაზრდა მასწავლებლებს, რომელნიც ჩინურ ენას ასწავლიან ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტებს.

რექტორმა მადლობა მოახსენა პროფესორ ჩე რუშანს, რომლის ხელშეწყობით ქართული უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლობენ ლანჯოუს და პეკინის უნივერსიტეტებში.

გაიმართა მსჯელობა მომავალი თანამშრომლობის საკითხებზე.

შეხვედრა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის **(DAAD)** ხელმძღვანელთან
28 სექტემბერი,2017

28 სექტემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის **(DAAD)**-ის ხელმძღვანელმა, დოქტორმა მარტინ პრაქსენტალერმა, ქართული უნივერსიტეტის სტუდენტების, დოქტორანტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის გერმანიაში სწავლისა და კვლევის, დაფინანსების მიღებისა და **DAAD**-ის სასტიპენდიო პროგრამების შესახებ საინფორმაციო სახის შეხვედრა გამართა.

შეხვედრა გახსნა, დოქტორი მარტინ პრაქსენტალერი დამსწრეთ წარუდგინა და მადლობა მოახსენა მობრძანებისთვის ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ.

დოქტორმა მარტინ პრაქსენტალერმა ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებს, დოქტორანტებს და მეცნიერებს პრეზენტაციის სახით მიაწოდა ინფორმაცია გერმანიაში სწავლისა და კვლევის შესაძლებლობების შესახებ, დაწვრილებით აუხსნა მათ თუ როგორ უნდა ჩაერთონ გერმანიაში დაფინანსების მიღებისა და **DAAD**-ის სასტიპენდიო პროგრამებში.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო **2017-2018** წლის **DAAD**-ს შემდეგი სასტიპენდიო პროგრამები: სამაგისტრო პროგრამა ყველა სპეციალობისთვის - ინგლისურ ან გერმანულ ენაზე (მე-**4** კურსელი ბაკალავრებისთვის); საზაფხულო ენის კურსი (მე-**2**, **3** კურსელი ბაკალავრებისთვის, ასევე **1**-ლი კურსელი მაგისტრებისთვის); სამაგისტრო სტიპენდია ეკონომისტებისთვის; კვლევითი და სადოქტორო პროგრამები (დოქტორანტებისთვის); სამეცნიერო სტაჟირება უნივერსიტეტის პროფესურისთვის (ხანგრძლივობა **3** თვე).

ინგლისურენოვანი შეხვედრა ინტერაქტივის რეჟიმში წარიმართა, დაინტერესებული სტუდენტები აქტიურად ჩაერთვნენ დისკუსიაში. დაურიგდათ საინფორმაციო სახის ბუკლეტები.

აღნიშნული პროგრამით ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის წარმატებული კურსდამთავრებული გიორგი ვარდოსანიძე სამაგისტრო კურსს ბონის უნივერსიტეტში გადის.

შეხვედრა ამიერკავკასიაში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელ, ბატონ უილიამ ლაჰიუსთან
12 ოქტომბერი,2017

12 ოქტომბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ფაკულტეტი შეხვდა ამიერკავკასიაში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს ბატონ უილიამ ლაჰიუს. შეხვედრა გაიმართა განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრისა და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით.
შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ქართული უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ. მან ხაზი გაუსვა ნატოს მხარდაჭერას საქართველოსადმი, რაც განსაკუთრებით გამოიხატა **2008** წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს სერიოზული საფრთხე დაემუქრა, იყო საშიშროება საოკუპაციო ჯარს თბილისიც დაეკავებინა. ამ კრიტიკულ სიტუაციაში დასავლეთის სახელმწიფოებისა და ნატოს მხარდაჭერით ქართული სახელმწიფო გადარჩა.

ბატონმა უილიამ ლაჰიუმ ისაუბრა ნატოს შექმნის ისტორიაზე, ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების ვალდებულებებსა და მათ როლზე ნატოს ფუნქციონირებაში, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებზე. ბატონმა ლაჰიუმ მიმოიხილა ნატოს, როგორც ორგანიზაციის

მნიშვნელობა, მისი მუშაობის სპეციფიკა, ისაუბრა ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის აუცილებელ ნაბიჯებზე. საუბრის მთავარი თემა იყო საქართველოსა და ნატოს შორის ორმხრივი ურთიერთობების მნიშვნელობის წარმოჩენა როგორც ნატოს წევრი ქვეყნებისთვის, ასევე საქართველოსთვის. უილიამ ლაჰიუმ ასევე პასუხი გასცა პროფესორ მასწავლებლებისა სტუდენტების შეკითხვებს.

დასასრულს რექტორმა სერგო ვარდოსანიძემ მადლობა გადაუხადა ნატოს საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელს ამიერკავკასიაში სტუმრობისა და საინტერესო საუბრისთვის, იმედი გამოთქვა რომ საქართველო მალე გახდება ორგანიზაციის წევრი სახელმწიფო და სტუმარს უნივერსიტეტის სახელით საჩუქარი გადასცა. თავის მხრივ უილიამ ლაჰიუმაც მადლობა მოახსენა რექტორსა და დამსწრე საზოგადოებას მოწვევისთვის და კითხვების ავტორებს საჩუქრად გადასცა მაისურები და ქუდები ნატოს ლოგოთი.

მეორე ამხანაგური მატჩი ფეხბურთში

15 ოქტომბერი,2016

15 ოქტომბერს, სპორტის აკადემიის საფეხბურთო ბაზაზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შორის ჩატარდა რიგით მეორე ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. თამაში უხვგოლიანი და სანახაობრივი გამოდგა. შეხვედრა დამთავრდა პროფესორ-მასწავლებელთა გუნდის გამარჯვებით ანგარიშით **6:5.** ორივე გუნდს საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა, ისინი აქტიურად ქომაგობნენ მოთამაშეებს.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების მეორე კურსის სტუდენტი ქართული უნივერსიტეტის თვითმმართველობის პრეზიდენტია!

ქართული უნივერსიტეტის ცხოვრებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს სტუდენტური თვითმმართველობა ასრულებს.2016-2017 სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები. 112 ხმით გაიმარჯვა და პრეზიდენტი გახდა საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების მეორე კურსის სტუდენტი თათა ქუტიძე.ვულოცავთ მას და ვუსურვებთ გაემართლებინოს უნივერსიტეტის სტუდენტთა ნდობა. მიმდინარე სასწავლო წელს მისი თაოსნობით მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა, მათ შორის სტუდენტური საღამოები. უნივერსიტეტში. 2017 წლის სექტემბერიდან კი თათა ერთი წლით ჩინეთში მიემგზავრება სამთავრობო გრანტით ნანძინის პრესტიჟულ უნივერსიტეტში ჩინური ენის შემსწავლელ კურსებზე.წარმატებას ვუსურვებთ თათას მომავალ საქმიანობაში.

„როგორ გავხადოთ საქართველო მდიდარი ქვეყანა“

2016 წლის **30** ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების მეორე კურსის სტუდენტმა ლევან თაღიაშვილმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „როგორ გავხადოთ საქართველო მდიდარი ქვეყანა“.
ლექციის დასასრულს გაიმართა დისკუსია. შეხვედრას ქართული უნივერსიტეტის რექტორი და სტუდენტები დაესწრნენ.



ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“

7 დეკემბერი,2016

2016 წლის **7** დეკემბერს, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად? როდის?".

შეჯიბრში მონაწილეობდა **15** გუნდი. თამაში საკმაოდ საინტერესოდ და შთამბეჭდავად წარიმართა. ღირსეულ და დაძაბულ ბრძოლაში გამოვლინდა სამი გამარჯვებული გუნდი: **III** ადგილი მოიპოვა გუნდმა ,,ფიდელ კასტრო" (კაპიტანი - ალექსანდრე ბარკალაია), **II** ადგილი დაიკავა გუნდმა ,,რეფრეში" (კაპიტანი - თორნიკე კურდღელაშვილი), ხოლო გამარჯვებული გუნდი გახდა ,,შარშან" (კაპიტანი - შალვა მაქაცარია) . გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ სერთიფიკატები, ხოლო პირველ ადგილზე გასული გუნდი დაჯილდოვდა სპეციალური საჩუქრებით.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ დღეს ჩვენს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ინტელექტუალური კლუბი, რომლის თავმჯდომარე ავტომატურად გახდა პირველ ადგილზე გასული გუნდის კაპიტანი შალვა მაქაცარია.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტების წარმატება!

ცნობილი გახდა ჩინური ენის საერეთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდების **(HSKK)** შედეგები. ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტებმა წარმატებით ჩააბარეს აღნიშნული გამოცდები:

ქეთევან ყარანაშვილმა - **84**

მარიამ სალუქვაძე - **76**

ბიძინა ქებაძე - **72**

ბესიკ ბუჩუკური - **72**

სტუდენტებმა გამოცდა ჩააბარეს თბილისი „თავისუფალი უნივერსიტეტის“ „კონფუცის ინსტიტუტში“. ტესტის მაქსიმალური ქულა იყო **100**, ხოლო გამსვლელი ქულა **60**.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი ულოცავს ჩვენს სტუდნტებს ამ წარმატებას და უსურვებს **III** დონის **HSK** გამოცდის წარმატებით ჩაბარებას, რის შემდეგაც სტუდენტები გაემგზავრებიან ჩინეთში სასწავლებლად.

სტუმრად საქართველოში იაპონიის ელჩის რეზიდენციაში

18 იანვარი,2017

საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, მისი აღმატებულება,ბატონი ტოშიო კაიტანის მიწვევით ელჩის რეზიდენციაში ვახშამზე იმყოფებოდნენ ქართული უნივერსიტეტის რექტორი,პროფესორი,სერგო ვარდოსანიძე,დეკანის მოადგილე,ბატონი ლევან ჯიქია და საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების პროფესორები.მეგობრულ ვახშამზე საუბარი შეეხო საქართველო-იაპონიის ურთიერთობებს,დაგეგმილ მომავალ პროექტებს,იაპონური ენისა და კულტურის პოპულარიზაციას საქართველოში,ქართულ უნივერსიტეტში იაპონური ენის სწავლების საკითხებს და სხვა.

შეხვედრა იაპონიის საელჩოს ატაშესთან და ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორთან

31 იანვარი,2017

2017 წლის **31** იანვარს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობათა და რეგიონალური პროცესების მიმართულების ასევე ქართველოლოგიის სპეციალობის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ინიციატივით წმიდა ილია მართლის სახელობის სხდომათა დარბაზში გაიმართა საინტერესო შეხვედრა ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორ ჰიროტაკე მაეტასთან და იაპონიის საელჩოს ატაშე პროფესორ იასუჰირო კოჯიმასთან.

საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში საერთაშორისო რეგიონალური პროცესების სპეციალობაზე უკვე ორი წელია წარმატებით მიმდინარეობს იაპონური ენის შესწავლა.

სტუმრებს მიესალმნენ: უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, პროფესორები: ტარიელ ფუტკარაძე, ავთანდილ კიკნაძე, დიმიტრი ნადირაშვილი, იაპონური კლუბის პრეზიდენტი, სტუდენტი ლევან თაღიაშვილი.

სტუმრებმა ისაუბრეს ქართულ-იაპონური ურთიერთობის და ქართული უნივერსიტეტის სტუდენტების იაპონიის უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამით წასვლის შესაძლებლობებზე.

2017 წლის საგაზაფხულო სემესტრიდან პროფესორი იასუჰირო კოჯიმა საერთაშორისო ურთიერთობათა და რეგიონალური პროცესების სპეციალობის სტუდენტებისათვის კვირაში ერთხელ ჩაატარებს იაპონური ენის გაკვეთილებს.

შეხვედრის დასასრულს პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტები ბაზალეთის სასწავლო ცენტრში

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის მიწვევით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტები ელენე ციციშვილი, მარიამ ანთიძე, მარიამ სალუქვაძე, ქეთევან ყარანაშვილი, ბესო ბუჩუკური და ბიძინა ქებაძე **3** თებერვლიდან **7** თებერვლის ჩათვლით ვესწრებოდით ბაზალეთის ზამთრის სკოლაში ჩინური ენისა და კულტურის გაკვეთილებს, რომელიც განკუთვნილი იყო იმ პირებისთვის, რომელთაც სურთ გაიღრმავონ ცოდნა ჩინურ ენაში. ამ **5** დღის განმავლობაში, თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის ჩინელი და

ქართველი პედაგოგების დახმარებით გავიარეთ ჩინური ენის დაჩქარებული პრაქტიკული კურსი. გარდა ამისა, საშუალება გვქონდა გავცნობოდით ჩინურ კულტურასა და ხელოვნებას: თაიჩის, ჩინური კვანძების დამზადებას, კალიგრაფიას, ჩინურ მხატვრობას (კუო ხუა) და ჩინურ კინემატოგრაფიას. მადლობა გვინდა გადავუხადოთ აღნიშნული ღონისძიების ორგანიზატორებს რამდენიმე დაუვიწყარი დღის ჩუქებისათვის.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური

პროცესების მიმართულების სტუდენტები

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის წარმატება!

ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის I კურსის სტუდენტი შოთა კავლელაშვილი გახდა საქართველოს ჩემპიონი ძალოვან სამჭიდში, სამ დისციპლინაში. ვულოცავთ მას ამ დიდ გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებას.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტების წარმატება!

14იანვარი,2017





2017 წლის **14** იანვარს, საქართველოში არსებული კონფუცის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით, ჩატარდა ჩინური ენის ე. წ. **HSK**-ის გამოცდები. გამოცდის მაქსიმალური ქულა **300** შეადგენს. **HSK**-ის გამოცდაში მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების მეორე და მესამე კურსის სტუდენტებმა: ნინო ასანიძემ, ქეთევან ყარანაშვილმა დამარიამ სალუქვაძემ. სამივე სტუდენტმა წარმატებით ჩავაბარეთ გამოცდა და მაღალი შეფასებებიც დავიმსახურეთ. მინდა სტუდენტების სახელით მადლობა გადავუხადო ჩვენს ჩინელ ლექტორებსა და ჩინელ მოხალისეებს, რომლებიც მაღალ დონეზე გვასწავლიან ჩინურ ენას ქართულ უნივერსიტეტში. ეს არის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც გვაძლევს საშუალებას მოვიპოვოთ სასწავლო სტიპენდია ჩინეთის უნივერსიტეტებში.

ნინო ასანიძე,
საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური
პროცესების მიმართულების მეორე კურსის სტუდენტი

ჩვენი პროფესორი იაპონიაში

2017 წლის 20-28 იანვარს ქ. ტოკიოში, ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის მოწვეულმა ლექტორმა, არჩილ კალანდიამ მონაწილეობა მიიღო იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ დიპლომატიურ სემინარში, სადაც ასევე მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების წარმომადგენლები. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროში არჩილ კალანდიამ წარადგინა პრეზენტაცია "საქართველოს ეკონომიკური განვითარების გამოწვევების შესახებ".

პარლამენტარი ქართული უნივერსიტეტის ახალი მოწვეული პროფესორი!

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მეორე სემესტრიდან საერთაშორისო ბიზნესის საფუძვლებში ლექციებს წაუკითხავს ახალი მოწვეული პროფესორი ირაკლი მეზურნიშვილი.

ბატონი ირაკლი საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატია (18-11-2016), საარჩევნო ბლოკი: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- დან. ასევე, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრია. დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალობით.

მოსკოვში ასპირანტურის დამთავრების შემდეგ წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მუშაობდა საერთაშორისო ფინანსების დეპარტამენტის უფროს მეცნიერ მუშაკად და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ პროფესორად.

დოკუმენტური ფილმის „მეოთხედი საუკუნე“ ჩვენება

1 მარტი,2017

2017 წლის **1** მარტს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის სხდომათა დარბაზში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის გაიმართა ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების მოწვეული პროფესორის, დეპუტატ ირაკლი მეზურნიშვილის დოკუმენტური ფილმის „მეოთხედი საუკუნე“ ჩვენება.

თბილისის მე-**17** საერთაშორისო კინოფესტივალზე წარდგენილი ფილმი **XX** საუკუნის **90**-იანი წლებიდან დღემდე საქართველო-ამერიკის **25** წლიანი მეგობრობის და ქართულ-ამერიკული ურთიერთობების შესახებ მოგვითხრობს.

კინო ჩვენების დასასრულს წარმოდგენილი ფილმის შესახებ ისაუბრეს და მის რეჟისორს მადლობა მოახსენეს ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ, პროფესორებმა ავთანდილ კიკნაძემ და რამაზ ლომინაძემ.

ახალი ფოტო ალბომში: ევროპა საქართველოში-დიუმას ნაკვალევზე

4 აპრილი,2017

2017 წლის **4** აპრილს ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა დოკუმენტური ფილმის "ევროპა საქართველოში-დიუმას ნაკვალევზე" ჩვენება. ფილმის შესახებ დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწოფო მინისტრის აპარატის ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტმენტის უფროსმა დავით ბუჟიაშვილმა.

ფილმი გადაღებულია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწოფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით და მიზნად ისახავს მოსახლეობისთვის ევროკავშირის დახმარების იმ პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლებიც საფუძველს ქმნიან საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიმართულებით.

შეხვედრა „ჰუალინგ ჯგუფის“ გენერალურ დირექტორთან!

27 მარტი,2017

2017 წლის **27** მარტს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა შეხვედრა საქართველოში უმსხვილესი ჩინური კომპანიის „ჰუალინგ ჯგუფის“ გენერალურ დირექტორთან, ბატონ ვანგ შენგსინთან.

სტუმრებს ჩინურენოვანი სიმღერით შეეგებნენ ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები. „ჰუალინგ ჯგუფის“ გენერალური დირექტორი დამსწრეთ წარუდგინა და დიდი მადლობა მოახსენა სტუმრობისათვის ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ. სტუმარს მიესალმა და ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლის მიღწევების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ვახტანგ სართანიამ. ჩინური ენის მცოდნე სტუდენტებმა ნინი ასანიძემ და მარიამ ანთაძემ ჩინურად მიმართეს სტუმრებს.

ბატონ ვანგ შენგსინმა საინტერესოდ მიიჩნია ის პროექტები, რომლებიც ქართულ უნივერსიტეტში ხორციელდება ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციისთვის და სრული მზადყოფნა გამოთქვა მხარდაჭერისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისთვის.

დამსწრე საზოგადოებას საქართველოში ყველაზე დიდი ჩინური, საინვესტიციო კომპანიის არსებულ და სამომავლო პროექტებზე პრეზენტცია წარუდგინა ქუთაისში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის აღმასრულებელმა დირექტორმა, ბატონმა სოსო ნიბლაძემ.

სტუდენტებმა ყურადღებით მოუსმინეს სტუმრებს და ბევრი ახალი ინფორმაცია მიიღეს „ჰუალინგ ჯგუფის“ კომპანიის საქმიანობის და მომავალი გეგმების შესახებ.

ტელეხიდი ლანჯოუს უნივერსიტეტში ჩინეთის მთავრობის სტიპენდიით გაგზავნილ სტუდენტთან!

28 მარტი,2017

2017 წლის **28** მარტს შედგა ტელეხიდი ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტებსა და ამავე მიმართულების სტუდენტ სოფო სირაძეს შორის. სოფო სირაძე სამთავრობო გრანტის მოპოვების შემდეგ ჩინური ენის ერთწლიან

კურსებზე გაემგზავრა ჩინეთში, ლანჯოუს უნივერსიტეტში. ამ უნივერსიტეტთან საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

ტელეხიდის მსვლელობისას სოფო სირაძემ ისაუბრა, თუ როგორი სწავლების სისტემაა ჩინეთში. სწავლების სისტემა ჩინეთში განსხვავებულია. დღეში **6** საათი ეთმობა ჩინური ენის სწავლას. სტუდენტური ცხოვრება უფრო მეტად დისციპლინირებულია, ასე რომ ყველას უწევს შეეგუოს რეჟიმის მიხედვით ცხოვრებას. აღნიშნა ჩინეთის სწრაფი ეკონომიკური წინსვლის შესახებ, ასევე ამ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ როლზე თანამედროვე მსოფლიოში. ყოველივე აქედან გამომდინარე ხაზი გაუსვა ჩინური ენის ცოდნის აუცილებლობასა და იმ პერსპექტივებს, რაც ამ ენის სწავლას შეუძლია მოუტანოს ადამიანს.

ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთან ერთად ტელეხიდში მონაწილეობდნენ იტალიელი და კორეელი სტუდენტები. ასევე კიდევ ერთი ქართველი სტუდენტი ნათია მარსაგიშვილი, რომელიც ლანჯოუს უნივესიტეტში სწავლობს ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ტელეხიდს ესწრებოდნენ საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების პირველი კურსის სტუდენტებიც. მათთვის ეს შეხვედრა განსაკუთრებით საინტერესო იყო, ვინაიდან წელს დაიწყეს ჩინური ენის სწავლა. მათ გამოხატეს ინტერესი ჩინეთში სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

სტუდენტებმა თამარ გიგაშვილმა, მარიამ ანთაძემ და ბიძინა ქებაძემ შეასრულეს სიმღერა ჩინურად, ხოლო ქართულ ენაზე შეასრულეს სიმღერა „სულიკო“.

,,ჩინეთის ზღვის კრიზისი - სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები''

30 მარტი,2017

2017 წლის 30 მარტს, საქართველოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: ,,ჩინეთის ზღვის კრიზისი - სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები''. მომხსენებლები იყვნენ კონფლიქტოლოგი, კონფლიქტების მართვის ინსტიტუტის დამფუძნებელი თამარ თოლორდავა და საერთაშორისო ურთიერთობების მეორე კურის სტუდენტი ლევან თაღიაშვილი. მომხსენებლებმა ხაზი გაუსვეს რეგიონში არსებული პროცესების მნიშვნელობას, განიხილეს მისი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მხარეები და აუდიტორიას დეტალურად გააცნეს ჩინეთისა და ამერიკის როლი მიმდინარე მოვლენებში. პრეზენტაციის ბოლოს გაიმართა დისკუსია, რომელშიც აქტიურ სტუდენტებთან ერთად ჩაერთო ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე. საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი განაგრძნობს აქტიური პოლიტიკური მოვლენების გარშემო მუშაობას და მომავალშიც გეგმავს მსგავს ღონისძიებებს.

თბილისის ჩაის ფესტივალი

23 აპრილი,2017

23 აპრილს მთაწმინდის პარკისა და საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის ორგანიზებით, გაიმართა თბილისის ჩაის ფესტივალი.

ფესტივალის ფარგლებში წამყვანი ქართული და საერთაშორისო ჩაის მწარმოებელი კომპანიები წარმოადგენდნენ სხვადასხვა ქვეყნის კუთხეებს, რომლებსაც გააჩნიათ ჩაის მირთმევის უდიდესი კულტურა: ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, დიდი ბრიტანეთი, შრი ლანკა. ასევე წარმოდგენილი იყო ქართული თაფლის სხვადასხვა სახეობა.

ფესტივალის პარალელურად მიმდინარეობდა კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს ქართული უნივერსიტეტის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების სტუდენტებმა: თამარ გიგაშვილმა, მარიამ ანთაძემ და ბიძინა ქებაძემ, რომლებმაც შეასრულეს სიმღერები ქართულ და ჩინურ ენაზე.

ღონისძიება იყო საინტერესო, რადგან ყველას მიეცა საშუალება გაცნობოდა ჩაის ნაირსახეობებს და მათ შორის დამზადების წესებს ჩინური ტრადიციის მიხედვით.

ქართული უნივერსიტეტის სტუდენტი
თამარ გიგაშვილი

სასიხარულო ინფორმაცია

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების და რეგიონალური პროცესების პროგრამის სტუდენტებმა: ნინი ასანიძემ და თათა ქუტიძემ მოიპოვეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სასწავლო გრანტები.

2017 წლის სექტემბრიდან, ერთი წლის ვადით, მათ სწავლა სრულად დაუფინანსდებათ ჩინეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში.

ვულოცავთ მათ ამ წარმატებას!

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები **Zhejiang gongshang**-ის და ნანძინის უნივერსიტეტებში!

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების ორმა სტუდენტმა თათა ქუტიძემ და ნინო ასანიძემ მოიპოვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სასწავლო გრანტები, რაც საშუალებას მისცემთ მათ ერთი წლის განმავლობაში უფასოდ ისწავლონ ჩინეთში **Zhejiang gongshang**-ის და ნანძინის უნივერსიტეტებში. ქართული უნივერსიტეტი ულოცავს მათ ამ მნიშვნელოვან წარმატებას და გთავაზობთ ინტერვიუს ერთ-ერთ გამარჯვებულთან ნინო ასანიძესთან.

- მოგესალმებით ქალბატონო ნინო, გილოცავთ მოპოვებულ წარმატებას. როგორც ვიცით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის საერთაშორისო

ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულებაზე ისწავლება რამდენიმე უცხო ენა, მათ შორის ჩინური ენა. გთხოვთ, ორიოდე სიტყვით გვითხრათ, რა სირთულეებს წააწყდით ჩინური ენის სწავლების პროცესში და რამდენად ადვილად ეუფლებოდით მას?

- მოგესალმებით და მადლობას გიხდით მოლოცვისთვის. დავიწყებ იქედან, რომ ჩინური ენის სწავლა დავიწყე შარშან, მაშინ როცა საერთოდ ვერ წარმომედგინა, რომ მე მექნებოდა საშუალება ერთი წელი მესწავლა სრულიად უფასოდ ჩინეთის ერთ-ერთ პრესტიჟულ უნივერსიტეტში. სირთულე ყოველთვის ყველაფერს ახლავს, მოგეხსენებათ ჩინურ ენას რთული გრამატიკა, ტონები და იეროგლიფები აქვს...ერთი შეხედვით მართლაც რთულია, იმდენად რთულია, რომ ბევრმა მისი გაგრძელებაც კი ვერ შეძლო და ენა შეიცვალა, ჩემთვის ყველაზე დიდი სირთულე ტონებია,რომელსაც ალბათ ჩინეთში სწავლისას დავძლევ.

- თქვენს მიერ მოპოვებული წარმატების გარდა რა წარმატება აქვთ ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩინური ენის სწავლების მიმართულებით?

- ჩემი აზრით უკვე წარმატებულები ვართ, რადგან ვსწავლობთ ჩინურ ენას, ჩვენ მართლაც გაგვიმართლა, რომ საშუალება გვაქვს უნივერსიტეტში საუკეთესო პროფესორებმა გვასწავლონ ჩინური ენა. მოპოვებულ წარმატებას რაც შეეხება, მინდა აღვნიშნო ჩინური კონკურსი, „hanyu qiao", რომელშიც წარმარტება არაერთხელ მოგვიპოვებია. დავასახელებ თუნდაც საბა ხაზალიასა და მარიამ ანთაძეს, რომლებმაც, ასე რომ ვთქვათ, პირველებმა გაჭრეს ფანჯარა აზიაში, უამრავი ღონისძიება და წამახალისებელი კონკურსები ტარდება კონფუცის ინსტიტუტის მიერ, რომლითაც მე პირადად ძალიან მოხარული ვარ.

- **რა იცით Zhejiang gongshang-ის უნივერსიტეტის შესახებ?**

- Zhejiang gongshang-ის უნივერსიტეტი, ქალაქ ხანჭოუში მდებარეობს, შანხაისთან ახლოს და ის ყოველწლიურად ბევრ უცხოელ სტუდენტს მასპინძლობს. დაწვრილებით ჩინეთიდან გიამბობთ... ნათქვამია: ბევრჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო.

- **როგორია თქვენი სამომავლო გეგმები ჩინურ ენასთან მიმართებაში?**

- წინასწარ გეგმებზე საუბარს ყოველთვის თავს ვარიდებ, მაგრამ მოკლედ მაინც გეტყვით, პირველ რიგში ფსიქოლოგიურად მოვამზადებ საკუთარ თავს, ადაპტირება გარემოსთან, სწავლასთან, მხოლოდ უცხოელებთან ურთიერთობა ალბათ თავიდან გამიჭირდება. ვაპირებ რომ ეს ერთი წელი ნაყოფიერად გამოვიყენო.

- რა რჩევას მისცემთ ჩინური ენის შესწავლის მსურველებს?

- ჩემი რჩევაა მეტი სიბეჯითე, არავითარი "არ შემიძლია, რთულია, ენას შევიცვლი, დავალებას გადავიწერ..." ყველაფერი შესაძლებელია, ყველას ვურჩევდი, რომ არცერთი ღონისძიება, შეჯიბრი თუ კონკურსი არ გამოტოვონ, რადგან არავინ ვიცით როდის გაგვიმართლებს ცხოვრებაში, როდის გამოგვადგება ჩინურის ცოდნა და არამარტო ჩინურის. წარმატებას ვუსურვებ ყველას, მინდა რომ ეს წარმატება ყველას სამომავლო მოტივაცია იყოს.

ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ნანძინის უნივერსიტეტში

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების ორმა სტუდენტმა **თათა ქუტიძემ** და **ნინო ასანიძემ** მოიპოვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სასწავლო გრანტები, რაც საშუალებას მისცემთ მათ ერთი წლის განმავლობაში უფასოდ ისწავლონ ჩინეთში Zhejiang gongshang-ის და ნანძინის უნივერსიტეტებში. ქართული უნივერსიტეტი ულოცავს მათ ამ მნიშვნელოვან წარმატებას და გთავაზობთ ინტერვიუს ერთ-ერთ გამარჯვებულთან თათა ქუტიძესთან.

- მოგესალმებით ქალბატონო თათა, გილოცავთ მოპოვებულ წარმატებას, ნება გვიბოძეთ მოგმართოთ რამდენიმე კითხვით. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულებაზე ისწავლება რამდენიმე უცხო ენა, მათ შორის ჩინური ენა. გთხოვთ, ორიოდე სიტყვით გვითხრათ, რა სირთულეებს წააწყდით ჩინური ენის სწავლების პროცესში და რამდენად ადვილად ეუფლებოდით მას?

- რთული კითხვაა, მთავარია სურვილი და მიზანი, რომელსაც დაისახავ, შემდეგ ამ მიზნისთვის აკეთებ ყველაფერს და იხარჯები ბოლომდე. ჩემს შემთხვევაში იყო შრომის ორი წელი, ბევრიც მიმეცადინია და ბევრჯერაც დამზარებია, მაგრამ ეტყობა პირველმა სძლია, ყოველ შემთხვევაში თავისით არაფერი მოდის, მითუმეტეს კონკურენციის პირობებში. უნივერსიტეტში მისვლის პირველი დღიდან დღემდე ჩემი დილა იწყება ჩინეთზე ფიქრით და სრულდება მისით... ველოდი დიდხანს და აღარც მჯეროდა. გავითავისე ის, რომ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩინური ენის სწავლაა. საოცარი მომენტია, როდესაც შრომობ და ეს გიფასდება... მოკლედ რომ ვთქვა მიზნის მიღწევა მარტივი არ ყოფილა, მითუმეტეს ასეთი რთული ენის სწავლა. ბევრი ვიშრომე და ეს ღირდა.

- თქვენს მიერ მოპოვებული წარმატების გარდა რა წარმატება აქვთ ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩინური ენის სწავლების მიმართულებით?

- დავიწყებ იმით, რომ ჩემსავით კიდევ ოთხი სტუდენტი იყო ამ პროგრამით წასული ჩინეთში, ერთ-ერთი მათგანი უკვე დაბრუნდა, შემდეგ ისევ გაემგზავრა ჩინეთში, იქ დაიწყო მუშაობა და ახლაც იქაა. ჩვენმა სტუდენტებმა ჩააბარეს ე. წ. HSK-ის გამოცდები და შესაბამისად ექვსი თვით გაემგზავრებიან ჩინეთში. გასულ წელს ორი კვირით იმყოფებოდა ჩინეთში ქართული უნივერსიტეტის ხუთი სტუდენტი, მათ იქ საინტერესო დრო გაატარეს, ორი კვირა, რა თქმა უნდა, მცირე დროა, მაგრამ მაინც დიდი სტიმულის მიმცემია სწავლისთვის. ასევე ''ჩინური ენის ხიდზე'' მესამე ადგილი დაიკავა ჩვენმა სტუდენტმა. ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები მუდამ ჩართულნი არიან სხვადასხვა აქტივობებში, რომელიც ხორციელდება საქართველოში ჩინეთის საელჩოსა და კონფუცის ინსტიტუტის ორგანიზებით, მაგალითად, გასულ წელს ჩინური ესეების კონკურსში მესამე ადგილი დავიკავე, იყო დაჯილდოვების საოცარი ცერემონია, გადმოგვცეს ფასიანი საჩუქრები.

- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები ჩინურ ენასთან მიმართებაში?

- ჩემს გეგმებს რაც შეეხება, დანამდვილებით ჯერ ვერ ვიტყვი, მაგრამ მინდა დავრჩე ჩინეთში იმაზე დიდხანს, ვიდრე ეს სტიპენდიით არის გათვალისწინებული. მთავარი მიზანი,

რისთვისაც მივდივარ ჩინეთში, ენის სიღრმისეულად სწავლაა და ყველანაირ წარმატებას და მომავალს ვუკავშირებ მის სრულფასოვან ცოდნას... იქ ვგეგმაც HSK-ის გამოცდის ჩაბარებას და რამდენიმე წლის მერე მაგისტრატურის დამთავრებას პეკინში. უცნაურად ჟღერს, მაგრამ ვხვდები, რომ შეუძლებელი არაფერია. „მთელ ცხოვრებას“ ჩინეთში ნამდვილად არ გავატარებ, რადგან საქართველოს გარეშე დიდხანს ცხოვრება არ შემიძლია, მაგრამ გამოცდილებისთვის, სწავლისთვის და იმისთვის რაც საჭიროა ჩემი პროფესიული თუ პიროვნული განვითარებისთვის, მინდა ეს შანსი გამოვიყენო.

- რა რჩევას მისცემთ ჩინური ენის შესწავლის მსურველებს?

- ჩინური ენის შესწავლის მსურველ სტუდენტებს ვურჩევ იყვნენ მეტად მობილიზებულნი ამ ენის შესწავლისას. ენა არის საკმაოდ სფეციფიური და რთული, შესაბამისად მეტ ყურადღებას, მეცადინეობას და დროს ითხოვს. ასევე ყველა სტუდენტს ვურჩევ საერთოდ არ მოკიდონ ხელი ამ საქმეს, თუ რეალურად არ უკავშირებენ ამ ენის ცოდნას თავიანთ მომავალს. რამდენიმე თვეში ორი წელი შესრულდება, რაც ვსწავლობ ჩინურს და ვხვდები, ზერელე მიდგომით მიზანს ვერ მიაღწევ. ჩინურის სწავლა ყველაზე დიდი აზარტი იყო, რაც 20 წლის განმავლობაში განვიცადე და ყველას ვუსურვებ ამ შეგრძნებას.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის მოხსენება აკადემიურ საბჭოზე!

24 აპრილი,2017

24 აპრილს, ქართული უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ სერგო ვარდოსანიძის ინიციატივით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე მოხსენებით წარსდგა საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების მეორე კურსის სტუდენტი ლევან თაღიაშვილი. მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა აშშ-ს, ჩინეთისა და რუსეთის სამხედრო და ეკონომიკურ პოტენციალზე და მათ გავლენაზე თანამედროვე მსოფლიოში. მომხსენებლის ანალიზით ამჟამად არსებული რეალობა დღის წესრიგში აყენებს ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბებას უახლოეს მომავალში.

დასასრულს გაიმართა დისკუსია და მომხსენებელმა უპასუხა კითხვებს.

ჩინეთის სამხრეთ ავიახაზის 2017 წლის პროგრამა

10 მაისი,2017

10 მაისს, ჰუალინგის სასტუმრო **„Hotels & preference"**-ში ჩატარდა ღონისძიება, სადაც წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია ჩინეთის სამხრეთ ავიახაზის **2017** წლის პროგრამასთან დაკავშირებით, თუ რა მიმართულებით ხდება ფრენების განხორციელება. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს, როგორც თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებმა, ასევე ქართული უნივერსიტეტის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების სტუდენტებმა თამარ გიგაშვილმა და მარიამ ანთაძემ, რომლებმაც შეასრულეს სიმღერა ჩინურ ენაზე. ღონისძიების დასასრულს სტუმრებს გაუმასპინძლდნენ ჩინური და ქართული კერძებით.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტების ვიზიტი პარლამენტში!

15 მაისი,2017

2017 წლის **15** მაისს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამის ხელმძღვანელის პროფესორ ავთანდილ კიკნაძის ინიციატივით მიმართულების მე-**4** კურსის სტუდენტებისთვის საქართველოს პარლამენტში გაიმართა შეხვედრა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან ქალბატონ თამარ ხულორდავასთან. საუბარი შეეხო იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დგას ქვეყანა. აღინიშნა, რომ ევროპასთან ურთიერთობა და ევროკავშირთან დაახლოება თანამედროვე საქართველოსთვის არის ერთადერთი, რასაც შეუძლია ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გამოსწორება. ხაზი გაესვა ასოცირების ხელშეკრულების, ვიზალიბერალიზაციისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების **(DCFTA)** გაფორმების მნიშვნელობას. ქალბატონმა თამარმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის აუცილებელია საქართველო შესაბამის სტანდარტებს აკმაყოფილებდეს, რისთვისაც დრო არის საჭირო. ისეთი პრსაკითხები, როგორებიცაა გარემოს დაცვა თუ სოფლის მეურნეობის ნაწარმის სტანდარტის შესაბამის ევროპულ სტანდართან მიახლოვება ჯერ კიდევ მოუგვარებელ პრობლემებად რჩება.

შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. სტუდენტებმა დააყენეს ისეთი საკითხები, რომლებიც აქტუალურ თემას წარმოადგენს თანამედროვე რეალობაში. საუბარი შეეხო ნატოსა და ევროკავშირში შესვლის პერსპექტივებს. აქაც აღინიშნა, რომ მიუხედავად ჩვენი მხრიდან დიდი სურვილისა, საკითხი პრაგმატულად უნდა განვიხილოთ - ისევ და ისევ, ამ ყველაფრისთვის პირველ რიგში აუცილებელია საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლება.

შეხვედრის ბოლოს სტუდენტებისთვის მოეწყო ექსკურსია პარლამენტში. სტუდენტებმა დაათვალიერეს საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და სხდომათა მთავარი დარბაზი.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტები პრეზიდენტის სასახლეში!

16 მაისი,2017

16 მაისს ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების პირველი კურსის სტუდენტები იმყოფებოდნენ საქართველოს პრეზიდენტის ავლაბრის სასახლეში.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტების მორიგი შეხვედრა პარლამენტში

22 მაისი,2017

22 მაისს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების მე-**4** კურსის სტუდენტებისთვის პროგრამის ხელმძღვანელის პროფესორ ავთანდილ კიკნაძის ხელმძღვანელობის შედგა შეხვედრა საქართველოს პარლამანტში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფო ქაცარავასთან და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან, ირაკლი მეზურნიშვილთან. დეპუტატებმა მიმოიხილეს ის საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსთვის - ეკონომიკური განვითარება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აღინიშნა, რომ დღეს, რთული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რომლის წინაშეც საქართველო დგას, აუცილებელია თანმიმდევრული და გააზრებული პოლიტიკის გატარება. ეს აისახება ევროპასა და აშშ-თან ურთიერთობაში. აშშ-ს პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მიერ ხელმოწერილი კანონი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ძალზედ დიდ დიპლომატიურ მიღწევას წარმოადგენს. მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს ჩინეთთან თავისუფალი სავაჭრო

ხელშეკრულებისა და ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმება .

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, სტუდენტებმა წინა პლანზე წამოწიეს რუსეთთან ურთიერთობის საკითხი. სტუდენტები შეეხნენ ევროკავშირის კავკასიისა და საქართველოს კონფლიქტების საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის, ჰერბერტ ზალბერის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელსაც მოჰყვა შესაფერისი რეაგირება ქართული მხრიდან.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს ის შესაძლებლობები, რომლებსაც დღეს სთავაზობს ჩვენი ქვეყანა ახალგაზრდებს - ყველაზე მნიშვნელოვანი აქ არის ევროპაში განათლების მიღების შესაძლებლობა, ახლა უკვე უვიზო რეჟიმის პირობებში.

შეხვედრა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრთან

13 ივნისს თბილისში ევროკავშირისა და ნატოს საინფორმაციო ცენტრში გაიმართა შეხვედრა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრთან ბატონ ლინას ლინკევიჩიუსთან, რომელსაც ესწრებოდნენა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტები ლევან თაღიაშვილი,თამარ გიგაშვილი და თათული ხუნტუა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივებს, მინისტრმა თავისი ქვეყნის გამოცდილება გაუზიარა სტუდენტებს და მათ შეკითხვებსაც უპასუხა. ლექციის ბოლოს გაიმართა დისკუსია

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტების აქტივობების პრეზენტაცია

15 ივნისს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების **I-II-III-IV** კურსების სტუდენტების მიერ **2016-2017** სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების პრეზენტაცია. პრეზენტაციები წარმოადგინეს: ელენე ციციშვილმა, ლევან თაღიაშვილმა, ანა აფაქიძემ, თათული ხუნტუამ. დასასრულს სტუდენტებმა სამომავლო გეგმებზე გააკეთეს აქცენტი

ჩვენი სტუდენტის წარმატება!

15 ივნისი,2017

2017 წლის **15** ივნისს კონფუცის ინსტიტუტში, ამავე ინსტიტუტის ორგანიზებით, ჩატარდა პროექტ ჩინური ხიდის რიგით მერვე კონკურსი. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობდა ოთხი სტუდენტი, სამი თავისუფალი და ერთი ქართული უნივერსიტეტიდან.

მაღალი კონკურენციის პირობებში საკმაოდ რთული იყო გამარჯვების მოპოვება, თუმცა ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების მესამე კურსის სტუდენტმა მარიამ სონიშვილმა შეძლო გამარჯვების მოპოვება, მან დაიკავა მესამე ადგილი, მიიღო სერთიფიკატი და სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები.

კონკურსი მოიცავდა სხვადასხვა ეტაპებს: მარიამმა აუდიტორიას წარუდგინა თავისუფალი თემა ჩინეთის შესახებ, უპასუხა ჟიურის მიერ დასმულ კითხვებს, საჯარო სიტყვით წარსდგა აუდიტორიის წინაშე და წარმოადგინა პერფორმანსი, რომელშიც ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები ნინი ასანიძე და თაკო გიგაშვილი ეხმარებოდნენ, გოგონებმა წარმოადგინეს როგორც ჩინური, ასევე ქართული ცეკვები.

ქართული უნივერსიტეტი ულოცავს მარიამ სონიშვილს გამარჯვებას და წარმატებებს უსურვებს.

საქართველოს პარლამენტში დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მიღება!

20 ივნისი 2017

საქართველოს პარლამენტში მსოფლიოს 57 ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენიდან 25 წლის იუბილისადმი მიძღვნილი მიღება გაიმართა, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ უმასპინძლა.საზეიმო მიღებაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამის სტუდენტებმა ლევან თაღიაშვილმა,ელენე ლომიძემ და სოფო სააკაშვილმა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო იმ საინტერესო გზას, რომელიც საქართველომ განვლო დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე 25 წლის განმავლობაში. შეხვედრაზე მიწვეულმა ელჩებმა და სხვა სტუმრებმა გაიხსენეს, თუ როგორ მყარდებოდა დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, რა იყო საქართველო 25 წლის წინ და რას მიაღწია მან ამ ხნის განმავლობაში. ხაზი გაესვა ვიზალიბერალიზაციისა და ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობას. ასევე აღინიშნა, რომ მომავალში ეს ურთიერთობები კიდევ უფრო მეტად სიღრმისეული და ყოვლისმომცველი უნდა გახდეს.

ელჩების გარემოცვაში



მემორანდუმი ჩინეთის უნივერსიტეტთან

2017 წლის **23** ივნისს ქართულ უნივერსიტეტსა და ჭეძიან გუნშან უნივერსიტეტს შორის გაფორმდა პარტნიორული თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოაწერეს ქართული უნივერსიტეტის რექტორმა,პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ და ჭეძიან გუნშან უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, პროფესორმა ჩენ შოუცანმა .

ორ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა ითვალისწინებს ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას,სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლით პროგრამებს,ერთობლივი აკადემიური კონფერენციების,სემინარების ორგანიზებას,საერთო ინტერესების სფეროში არსებული თანამშრომლობითი პროექტებისა და პროგრამების განხორციელებას და სხვა.

ჩინური ენის სწავლების სამი წელი ქართულ უნივერსიტეტში

ქართულ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამაზე 200-მდე სტუდენტი სწავლობს. აღნიშნულ პროგრამაზე ისწავლება 2 სავალდებულო უცხო ენა, მ.შ სავალდებულოა ჩინური ენის შესწავლაც. დღეისათვის, ჩვენს უნივერსიტეტში ჩინურ ენას ეუფლება 100-მდე სტუდენტი, რომლებსაც ჩინურ ენას ასწავლის 4 მოხალისე ჩინელი და 4 სერთიფიცირებული ქართველი პედაგოგი. უნივერსიტეტში ჩინური ენის სწავლებისთვის **გამოყოფილია ჩინური ენის და ლინგაფონის კაბინეტები.**

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ჩინური სტუდენტური კლუბი,მომზადდა ჩინეთისადმი მიძღვნილი ელექტრონული სასწავლო ჟურნალი"დიპლომატი",

https://sangu.ge/images/2014/chinetzejurnali.pdf

უნივერსიტეტს რამოდენიმეჯერ სტუმრობდნენ ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი,საელჩოს კულტურის ატაშე,კონფუცის ინსტიტუტის ხელმძღვანელი საქართველოში.

https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=964&lang=geo
https://www.facebook.com/sanguofficial/photos/?tab=album&album_id=742530775794730
https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=1019&lang=geo

2015 წლის 10 ნოემბერს ქართულ უნივერსიტეტსა და ლანჯოუს უნივერსიტეტს შორის გაფორმდა პარტნიორული თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოაწერეს

ქართული უნივერსიტეტის რექტორმა,პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ და ლანჯოუს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა პან ბაოტიენმა.

https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=1765&lang=geo
https://www.facebook.com/sanguofficial/photos/?tab=album&album_id=953333908047748
რამდენიმე თვის წინ საქართველოში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მიერ ჩატარებულ კონკურსში, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტმა სოფო სირაძემ გრანტი მოიპოვა და მიიღო ერთ წლიანი სტიპენდია. 2016-2017 სასწავლო წელს, სექტემბრიდან ის სწავლას გააგრძელებს ჩინეთში ლანჯოუს უნივერსიტეტში.

https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=1964&lang=geo
ამჟამად ჩინეთში ერთწლიანი სტიპენდიით სწავლობენ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები მარიამ ანთაძე და საბა ხაზალია,რომლებმაც სულ ახლახანს წარმატებით ჩააბარეს ჩინური ენის საერთაშორისო გამოცდა HSK (ეჩ ეს კეი).მეოთხე დონის საკვალიფიკაციო გამოცდები და მიიღეს შესაბამისი სერთიფიკატები.

https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=1287&lang=geo
2015 წლის 15 ოქტომბერს, ქართულ უნივერსიტეტში ტელე-ხიდი გაიმართა ჩინეთის ჯილინის უნივერსიტეტთან, სადაც ჩინეთის სახალხო რეპსუბლიკის საელჩოს გრანტით სწავლობენ ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები.

https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=1710&lang=geo
2014 წლის 17 ნოემბერს სტუდენტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში ღია კარის დღესთან დაკავშირებით, მიწვეულნი იყვნენ ის სტუდენტები, რომლებიც შეისწავლიან ჩინურ ენას. ჩვენმა სტუდენტებმა შეასრულეს ჩინური სიმღერები და წარმოადგინეს ჩინური ცეკვები და გამოხატეს თავიანთი პოზიტიური დამოკიდებულება ჩინეთის მიმართ.

https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=1083&lang=geo
https://www.facebook.com/sanguofficial/photos/?tab=album&album_id=768372696543871
https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=1348&lang=geo
ქართულ უნივერსიტეტს კვლავ ეწვია საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება ბატონი იუე ბინი, რომელიც დაესწრო I კურსის სტუდენტების ღია სემინარს ჩინურ ენაში.ღია სემინარი ჩაატარა მოხალისე ჩინელმა პედაგოგმა ლიან ქუნ ქუნმა.

https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=1148&lang=geo
https://www.facebook.com/sanguofficial/photos/?tab=album&album_id=787918544589286
მ/წელს ჩვენი უნივერსიტეტის რამოდენიმე სტუდენტმა წარმატებით ჩააბარეს ჩინური ენის საერთაშორისო გამოცდა HSK (ეჩ ეს კეი).

ზედიზედ 2 წელია,რაც ჩვენი სტუდენტები წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო სტუდენტური კონკურსის "ჩინური ენის ხიდის" შესარჩევ ტურში საქართველოში. ისევე როგორც შარშან ჩვენი უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტმა ქეთი ყარანაშვილმა მეორე

ადგილი დაიკავა, მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ნინი ასანიძემ, რაც პირველი კურსის სტუდენტისთვის საკმაოდ მაღალი შედეგია.

პარალერულად ჩატარებულ ესეების სტუდენტურ კონკურსში.სტუდენტებმა წარმოადგინეს ესეები ჩინეთის შესახებ.აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობდნენ ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები.თათა ქუტიძემ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა,შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატი მოიპოვა.მარიამ ჟამუტაშვილმა და ნინი ასანიძემ წამახალისებელი პრიზები და სერთიფიკატები მოიპოვეს.

https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=1486&lang=geo
https://www.facebook.com/sanguofficial/photos/?tab=album&album_id=874330895948050
https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=2112&lang=geo
2015 წლის 16 ნოემბერს, ქართული უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნემ, ქართული უნივერსიტეტის მოწვეულმა პროფესორმა არჩილ კალანდიამ წაიკითხა საჯარო ლექცია თანამედროვე ჩინეთის შესახებ და მოაწყო თავისი მონოგრაფიის „ჩინეთის ტრანსფორმაცია 21-ე საუკუნეში" პრეზენტაცია.

https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=1774&lang=geo
2015 წლის 11 დეკემბერს, ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა საქართველოში უმსხვილესი ჩინური კომპანიის„ ჰუალინგ ჯგუფის" გენერალურ დირექტორთან,ბატონ ვანგ შენგსინთან.სტუმარმა საინტერესოდ მიიჩნია ის პროექტები,რომლებიც ქართულ უნივერსიტეტში ხორციელდება ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციისთვის და სრული მზადოფნა გამოთქვა მხარდაჭერისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისთვის.ასევე სტუდენტებს დაპირდა ,რომ მომავალ სემესტრში საჯარო ლექციას ჩაუტარებს ჩინეთის ეკონომიკის შესახებ და „ჰუალინგ ჯგუფის" კომპანიაში პრაქტიკის გავლაშიც დაეხმარება მათ.

https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=1828&lang=geo
2016 წლის 9 ივნისს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მიიღო კონფუცის ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელი ბატონი ჩი რუშანი.შეხვედრაზე ისაუბრეს ქართულ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალობაზე, ჩინური ენის შესწავლის პერსპექტივებზე და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩინური ენის შესასწავლად გასაგზავნ სტუდენტებზე. დაიგეგმა მრავალი საინტერესო ღონისძიება.

https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=2106&lang=geo
უახლოეს მომავალში ქართულ უნივერსიტეტს განზრახული აქვს დააფუძნოს კონფუცის კლასი და შემდეგ ინსტიტუტი, რომლის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები,რომლებიც დიდ დაინტერესებას იჩენენ ჩინური ენისა და კულტურის შესწავლისადმი.

2016 წლის 23 ივნისს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს ეწვივნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლის დელეგაცია: აზიის მხარის დირექტორი, ქალბატონი შაო სიუბო, კონფუცის ინსტიტუტის სათაო ოფისის დირექტორის მოადგილე, ბატონი სია ძიენჰუი,

კონფუცის ინსტიტუტის აღმასრულებელი ხელმძღვანელი, ქალბატონი ლი ჩანი, ლანჯოუს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი,ბატონი ფან ბაოტიენი, ლანჯოუს უნივერსიტეტის საერთაშორისო სკოლის დირექტორის მოადგილე, ქალბატონი თაო ჰონგი, კონფუცის ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელი ბატონი ჩი რუშანი.

სტუმრებმა დაათვალიერეს ჩინური ენისკულტურის შემსწავლელი კაბინეტი, დაესწრნენ უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის და რეგიონმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტთა მიერ მომზადებულ კონცერტს და გაესაუბრენ იმ სტუდენტებს,რომლებიც ჩინურ ენას ეუფლებიან ქართულ უნივერსიტეტში.დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობის ღონისძიებები.

https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=2138&lang=geo
https://www.facebook.com/sanguofficial/photos/?tab=album&album_id=1078731305508007
ზაფხულის არდადეგების პერიოდში 16-30 აგვისტოს ქართული უნივერსიტეტის სამი სტუდენტი იმყოფებოდა ჩინეთში საერთაშორისო ახალგაზრდულ ბანაკში ქალაქ ლანჯოუში და ჩინეთის ისტორიულ დედაქალაქში სიანში.

წელს ჩვენმა სუდენტებმა ჩააბარეს ე. წ. HSK-ის საერთაშორისო გამოცდები ჩინურ ენაში და შესაბამისად ექვსი თვით გაემგზავრებიან ჩინეთში ჩვენი უნივერსიტეტის პარტნიორ-ლანჯოუს უნივერსიტეტში.

სექტემბრიდან საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის 2 სტუდენტი ნინი ასანიძე და თათა ქუტიძე ერთი წლით მიემგზავრებიან ჩინეთში Zhejiang gongshang-ის და ნანძინის უნივერსიტეტებში ჩინეთის მთავრობის სტიპენდიებით.საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების მესამე კურსის სტუდენტებმა ქეთევან ყარანაშვილმა და მარიამ სალუქვაძემ მოიპოვეს კონფუცის ინსტიტუტის სტიპენდიები. მათ სრულად დაუფინანსდებათ ლანჯოუს უნივერსიტეტში ჩინური ენის შემსწავლელ 6 თვიან პროგრამაზე სწავლის საფასური.

სულ ახლახან,2017 წლის 23 ივნისს ქართულ უნივერსიტეტსა და ჭეძიან გუნშან უნივერსიტეტს შორის გაფორმდა პარტნიორული თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოაწერეს ქართული უნივერსიტეტის რექტორმა,პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ და ჭეძიან გუნშან უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, პროფესორმა ჩენ შოუცანმა

ორ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა ითვალისწინებს ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას,სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლით პროგრამებს,ერთობლივი აკადემიური კონფერენციების,სემინარების ორგანიზებას,საერთო ინტერესების სფეროში არსებული თანამშრომლობითი პროექტებისა და პროგრამების განხორციელებას და სხვა.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ავთანდილ კიკნაძე

ჩვენი გუნდი

თამარ პატაშური-ქართული უნივერსტეტის,ჩინური ენის პედაგოგი.

მოგესალმებათ ჩინეთი Hello China 你好中国

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის ჩინური ენის პედაგოგმა თამარ პატაშურმა ჩინელ ემილი ლისთან ერთად ტელევიზია ახალი საქართველოს ეთერში რამოდენიმე გადაცემა მიუძღვნა ჩინური ენის და კულტურის შესწავლის საკითხებს. აღსანიშნავია,რომ ეს კურსები საკმაოდ პოპულარული გახდა ჩინური ენით დაინტერესებულ ახალგაზრდებში.ქ-ნი თამარი ჩვენი უნივერსიტეტის დოქტორანტია და წარმატებით უთავსებს ერთმანეთს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,ინგლისური ენის სპეციალობით,აქვე დაამთავრა მაგისტრატურა თარგმანმცოდნეობის სპეციალობით.ასევე დაამთავრა პეკინის ენისა და კულტურის და ლანჯოუს უნივერსიტეტები.

ჩინური ენის სერთიფიკატი (HSK),VI დონე.
ფლობს ქართულ,ინგლისურ,რუსულ,ჩინურ ენებს

გადაცემების ლინკები:

1. https://www.youtube.com/watch?v=BwK1WPJVf7I&t=412s
2. https://www.youtube.com/watch?v=1Rzk5zwjuyQ&t=26s
3. https://www.youtube.com/watch?v=U3uruZg0-xo&t=362s
4. https://www.youtube.com/watch?v=ZDN-aOdBJo8
5. https://www.youtube.com/watch?v=U3uruZg0-xo&list=PLc9rRUdaXJuj3LGIjq6mK80ESSzkbN64L

თამარ მუჯირი-ქართული უნივერსტეტის,ჩინური ენის პედაგოგი.

დაამთავრა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით

უხანის უნივერსიტეტი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საერთაშორისო სამართლის მაგისტრის ხარისხი.

მუშაობდა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტში,(აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი) ჩინური ენის ლექტორად.

ამჟამად მუშაობს საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში.

საელჩოს მდივანი–რეფერენტი,ელჩის თანაშემწე ,თარჯიმანი.

ჩინური ენის სერთიფიკატი (HSK),VIII დონე.

ფლობს ქართულ,ინგლისურ,რუსულ,ჩინურ ენებს.

ნინო ტეტუნაშვილი-ქართული უნივერსტეტის,ჩინური ენის პედაგოგი.

დაამთავრა თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, (თავისუფალი

უნივერსიტეტი) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით/ჩინური ენა (ბაკალავრი)

ცენტრალური ჩინეთის პედაგოგიური უნივერსიტეტი,ჩინური ენა, (მაგისტრატურა)

ცენტრალური ჩინეთის პედაგოგიური უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები,

(დოქტორანტურა) დაიცვა სამეცნიერო ხარისხი.

ჩინური ენის სერთიფიკატი (HSK),VI დონე.
ფლობს ქართულ,ინგლისურ,ჩინურ,რუსულ,გერმანულ ენებს.

უდიდესი წვლილი მიუძღვის ხანჭოუს ჭეძიან გუნშან უნივერსიტეტთან კონტაქტის დამყარებასა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მომზადებაში.

ნატალია მაისურაძე-ქართული უნივერსტეტის ჩინური ენის პედაგოგი.

მუშაობდა პეკინის უნივერსტეტში,ქართული ენის პედაგოგად.

თბილისის თავისუფალ უნივერსტეტში ჩინური ენის პედაგოგად

საქართველოში ჩინეთის საელჩოს სავაჭრო ეკონომიკურ პალატაში

დაამთავრა ჩინეთის, თიენძინის პედაგოგიური უნივერსტეტის მაგისტრატურა ადმინისტრაციის მენეჯმენტის სპეციალობით

თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი ჩინური ენისა და ჟურნალისტიკის სპეციალობით.

ჩინური ენის სერთიფიკატი (HSK),IX დონე.
ფლობს ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ჩინურ ენებს.

ჩვენი ჩინელი პედაგოგები.

სამი წელია ჩვენს უნივერსიტეტში ჩინეთის მთავრობის პროგრამით წარმატებით მუშაობენ მოხალისე ჩინელი პედაგოგები,რომლებიც სტუდენტებს ეხმარებიან ჩინური ენის სრულყოფაში,საერთაშორისო გამოცდებისთვის,სხვადასხვა კონკურსებისთვის მომზადებაში.

2016-2017 სასწავლო წელს მოხალისეებად მუშაობდნენ ვან ჰუი - 1-ლი კურსი; ლიუ ქსიან ი- მე-2 კურსი; ლიან კონკონი - მე-3 კურსი; ჟიაო ჯინგრუი - მე-4 კურსი (Wang Hui-Grade One;Liu Xiang-Grade Two;Liang Kongkong-Grade Three;Zhao Jingrui-Grade Four.)

POLYCOM

TOPSECRET

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტების კონფუცის ინსტიტუტის სტიპენდიები ლანჯოუს უნივერსიტეტში.



საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების მესამე კურსის სტუდენტებმა ქეთევან ყარანაშვილმა და მარიამ სალუქვაძემ მოიპოვეს კონფუცის ინსტიტუტის სტიპენდიები. მათ სრულად დაუფინანსდებათ ლანჯოუს უნივერსიტეტში ჩინური ენის შემსწავლელ **6** თვიან პროგრამაზე სწავლის საფასური. ქართული უნივერსიტეტი წარმატებას უსურვებს ქეთევანსა და მარიამს.

სინოლოგთა ტრადიციული შეკრება

საქართველოში ჩინეთის საელჩოს ორგანიზებით ჰუალინგის სასტუმრო **„Hotels & preference"**-ში ჩატარდა ყოველწლიური სინოლოგთა შეკრება „გაზაფხულის ფესტივალი". ოფიციალურ მიღებას საპატიო სტუმრებთან ერთად იმ უმაღლესი სასწავლებლების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, სადაც ისწავლება ჩინური ენა.შეხვედრას ასევე ესწრებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი,ბატონი მიხეილ ჯანელიძე და ძი იენჩინი.

შეხვედრა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან,მისი აღმატებულება ძი იენჩინთან.

იაპონია-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მიღება!

7 ივლისი,2017

სასტუმრო ბილტმორ თბილისში გაიმართა იაპონია-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავის აღსანიშნავი მიღება საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, მისი აღმატებულება,ბატონი ტოშიო კაიტანის და მისი მეუღლის ქალბატონი ჰარუე კაიტანის სახელით.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი,ბატონი მიხეილ ჯანელიძე,პარლამენტარები,დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები,თბილისის მერი,საკრებულოს თავმჯდომარე,იმ უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, სადაც ისწავლება იაპონური ენა.ასეთივე პატივი ერგო ქართულ უნივერსიტეტსაც .აღსანიშნავია,რომ აღნიშნული მიღება ასევე,გამოსათხოვარი საღამო იყო საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, მისი აღმატებულება,ბატონი ტოშიო კაიტანისისათვის,რომელმაც საქართველოში დაასრულა თავისი ხანგრძლივი დიპლომატიური კარიერა და უკანასკნელ 4 წელიწადში დიდი წვლილი შეიტანა ქართულ-იაპონურ ურთიერთობებში.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტები გერმანიაში პრაქტიკაზე!

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების მესამე კურსის სტუდენტები ნატა ასათიანი და სალომე მესხიშვილი მონაწილეობას მიიღებენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ პროგრამაში, რომლის შედეგადაც 17 ივლისიდან 15 ოქტომბრამდე გაივლიან სამთვიან პრაქტიკის კურსს გერმანიაში. მადლობას ვუხდით ეკონოიმიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს ჩვენი გერმანულენოვანი სტუდენტების მხარდაჭერისათვის.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულებას პირველი კურსდამთავრებულები ჰყავს.

3 ივლისს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების სტუდენტების საბაკალავრო ნაშრომების დაცვა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ქართულ უნივერსიტეტს საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების პირველი კურსდამთავრებულები ჰყავს. აღსანიშნავია,რომ 14 სტუდენტმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა,16-მა კი „ძალიან კარგი“.ქართული უნივერსიტეტი წარმატებას ულოცავს კურსდამთავრებულებს და მომავალ გამარჯვებებს უსურვებს.აღსანიშნავია,რომ კურსდამთავრებულების ძალიხმევით გამოსაცემად მზადდება საბაკალავრო ნაშრომების კრებული.

ჩვენი პირველი კურსდამთავრებულები

ელენე ლომიძე

ანნა არეშიძე

ქეთევან კუხიანიძე

ირაკლი დარბუაშვილი

სალომე ზებედაშვილი

ნინო ანდიაშვილი

თათული ხუნტუა

ნინო ბაბუციძე

ნინო გოგოლაური

ნათია გნოლიძე

ქეთევან დოიჯაშვილი

იოსებ თორთლაძე

ნიკა ბედოევი

მარიამ ტაბატაძე

ნინო ბელელაძე

ხატია მელიქიძე

გიორგი პაპუაშვილი

ანა ჯაშიაშვილი

მარიამ ჯაოშვილი

სალომე მსხალაძე

ალექსანდრე ჯორჯიკია

სალომე ესიავა

მაკა ფურცხვანიძე

ჯიმშერ ტაბატაძე

ქეთევან ქეშელაშვილი

ირინე ბერუაშვილი

თამაზ მარტიაშვილი

ნინო წიწიკაშვილი

თამარ გაბრიელაშვილი

გიორგი სამნიაშვილი

ჩვენი პროფესორები

სერგო ვარდოსანიძე

მინდია უგრეხელიძე

რამაზ ლომინაძე

თამარ კიკნაძე

ავთანდილ კიკნაძე

ნესტან კირთაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

თეა გოგოტიშვილი

ზვიად ტყაბლაძე

არჩილ კალანდია

ირაკლი მეზურნიშვილი

ქეთევან მდინარაძე

დაზმირ ჯოჯუა

დურმიშხან ლაშხი

გურამ ჯოლია

ვეფხვია გვარამია

ჩვენი წარჩინებულები

ნინო ანდიაშვილი

ალექსანდრე ჯორჯიკია

ანა კალანდია

ანა აფაქიძე

ჩვენი პარტნიორი უნივერსიტეტები

ჭეძიან გუწშან უნივერსიტეტი (ჩინეთი)

ლანჯოუს უნივერსიტეტი (ჩინეთი)

სამეცნიერო-კვლევების ძირითადი მიმართულებები

საერთაშორისო ურთიერთობების რეგიონალური პრობლემები

საერთაშორისო ბიზნესის აქტუალური პრობლემები

საერთაშორისო ურთიერთობების სამართლებრივი განზომილება

საქართველო საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში

თანამედროვე დიპლომატია:თეორია და პრაქტიკა

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

გლობალიზაცია და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები

კულტურა და პოლიტიკა

ერთიანი ევროპა და ეროვნული ინტერესები

ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები

აღმოსავლეთ აზიის პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები

რეგიონული ინტეგრაციის თავისებურებები აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში

საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების პრობლემები

რეგიონული ლიდერობის პრობლემები ლათინურ ამერიკაში

საქართველოს ურთიერთანამშრომლობის პერსპექტივები აზიის

წამყვან ქვეყნებთან (ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა და სხვა).

რუსეთის და უკრაინის ურთიერთობების პრობლემები და პერსპექტივები

საქართველო-რუსეთის ურთიერთობები

`საქართველო და ევროინტეგრაცია

საქართველო გლობალიზაციის პროცესში: შეხების სფეროები და მოქმედების მეთოდები

ნატო და ევროკავშირი

საერთაშორისო კინფლიქტები და მათი დარეგულირების გზები

უსაფრთხოების პრობლემები კავკასიაში

საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემები

განვითარებული ქვეყნების პოლიტიკა და ეკონომიკა

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მოვლენების გაკვეთილები

დიპლომატია-როგორც ტოლერანტობის ისტორიული ინსტიტუტი

საერთაშორისო ურთიერთობების ჰუმანიტარული ასპექტები და რელიგიის ფაქტორი

დიპლომატია ევროპული ინტეგრაციის პირობებში

საჯარო დიპლომატია

საიდუმლო დიპლომატია

დიპლომატია და საინფორმაციო ომები

საერთაშორისო ურთიერთობების რელიგიური ასპექტები

საქართველო და აშშ. თანამშრომლობის პერსპექტივები

აშშ-ის საგარეო პოლიტიკა

აშშ-ი და ევროპა: თანამშრომლობის პრობლემები და პერსპექტივები

პოლიტიკა და გენდერული პრობლემები

ეთნიკური სახელმწიფოს მომავალი

გლობალური უთანასწორობის პრობლემები

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკა და ეკონომიკა

საქართველო აშშ-ის და რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფეროში

საერთაშორისო ურთიერთობების დემოგრაფიული ფაქტორები

რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულება აღმოსავლეთის ქვეყნებში

ქართულ -აფზაზური ურთიერთობების პრობლემები და კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივები

მომავალი გეგმები

2017-2018 წლის ღონისძიებები

1.საჯარო ლექციების ორგანიზება საერთაშორისო ურთიერთობების, დიპლომატიის და მსოფლიო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე. მოწვეული სტუმრების მონაწილეობით.

2.ყოველკვირეული დებატები პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების მონაწილეობით აქტუალურ თემებზე.

3.მრგვალი მაგიდა~ - `დიპლომატია, როგორც ტოლერანტობის ისტორიული ინსტიტუტი~.

4.მრგვალი მაგიდა - `პოლიტიკური ელიტა და ზნეობა~

5.დისკუსია `ტელევარსკვლავების და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება~

6.საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობების ხელმძღვანელთა შესაბამისი სამსახურების დიპლომატების მონაწილეობით საჯარო ლექციების ჩატარება, მათი ქვეყნების დიპლომატიური სამსახურების ამოცანებისა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების, საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობების შესახებ.

7.მუდმივმოქმედი ახალგაზრდული ფორუმის „თავისუფალი აუდიტორიის“ორგანიზება საერთაშორისო ურთიერთობების, დიპლომატიის და მსოფლიო პოლიტიკის პრობლემატურ საკითხებზე.

8.პარტნიორ უნივერსიტეტებთან ტელეხიდის მომზადება და გამართვა საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის შესაბამისი სპეციალობების სტუდენტებთან საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე.

9.მრგვალი მაგიდა: `პოლიტიკა და მორალი~,

ძვირფასო პროფესორ-მასწავლებლებო,სტუდენტებო!

გილოცავთ 2016-2017 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებას! გასული სასწავლო წელი საუკეთესო იყო ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების ხანმოკლე ისტორიაში.წელს ჩვენ პირველი კურსდამთავრებულები გვყავს. აღსანიშნავია,რომ საბაკალავრო ნაშრომების შეფასებისას 14 სტუდენტმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა,16-მა კი „ძალიან კარგი“.ქართული უნივერსიტეტი წარმატებას ულოცავს კურსდამთავრებულებს და მომავალ გამარჯვებებს უსურვებს.

უღრმესი მადლობა მინდა მოვახსენო თითოეულ პროფესორს,სტუდენტს,ყველა თანამშრომელს,რომლებმაც ძალა და ენერგია არ დაიშურეს ამ წარმატებების მიღწევისათვის.

მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა,მხნეობა, სიკეთე და ბედნიერება. ღმერთი იყოს ჩვენი უნივერსიტეტის და სრულიად საქართველოს მფარველი.

ღრმა პატივისცემით და კეთილი სურვილებით,

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ავთანდილ კიკნაძე

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები საპატრიარქოს ტელევიზიის „ერთსულოვნების“ეთერში

10 ივლისი,2017

საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ნინი ასანიძე და თათა ქუტიძე საპატრიარქოს ტელევიზიის „ერთსულოვნების“ეთერში მიიწვიეს.საუბარი შეეხო მათ მომავალ სწავლას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში,სადაც ისინი ერთი წლით 1 სექტემბრიდან მიემგზავრებიან ჩინეთის მთავრობის სტიპენდიით.სტუდენტებმა წამყვანების მრავალ შეკითხვას უპასუხეს და ნინი ასანიძემ ჩინური ენის ცოდნითაც გამოიჩინა თავი.წარმატებებს ვუსურვებთ ნინის და თათას მომავალ საქმიანობაში.

2017 წლის კურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილება

15 ივლისი,2017

2017 წლის **15** ივლისს, ქართული უნივერსიტეტის ეზოში მოეწყო 2017 წლის კურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილება.უნივერსიტეტის რექტორმა,პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ და პროფესორ-მასწავლებლებმა წლევანდელი კურსდამთავრებულები საზეიმო ვითარებაში გააცილეს.რექტორმა ახალგაზრდებს წარჩინებული სწავლისათვის მადლობა გადაუხადა და ცხოვრების ახალ ეტაპზე წარმატებები უსურვა.კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრ“მუზაში“ გვიან ღამემდე გაგრძელდა.



იდეის და პროექტის ავტორი: პროფესორი ავთანდილ კიკნაძე

დიზაინი: ლევან ხელაშვილი